



ახალი განათლება

27.12.2018

№40 (834) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge



დისკუსია „დედა ენის“ გარშემო

**ალტერნატივის შექმნამდე
სჯობს არსებული
ბადაისინჯოს**

**სკოლას „დედა ენა“
უბრუნდება!**

გვერდი 2

ხარისხის განვითარება

**მნიშვნელოვანი მიღწევები
და სამომავლო გეგმები**

გვერდი 3

წლის შეჯამება

**როგორი იყო 2018 წელი
განათლების სისტემისთვის**

გვერდი 4

გავრცედა უფლებები

**„დინახე ყველა ფერი“ –
დაამარცხე სტიგმა**

გვერდი 5

მანდატურის სამსახური

**განათლების რეფორმა
წარმოუდგენელია
უსაფრთხო სკოლის
კონსტრუქციის გარეშე**

გვერდი 6

სამოქალაქო ინტეგრაცია

**მინდა, სამშობლოს –
საქართველოს და მშობლიურ
სოფელს გამოვადგე**

გვერდი 8



აღმართობის შექმნა სკოლას ახლები ბადასიწიწის

დაწყებით კლასს ვასწავლი, ვარ გზამკვლევი ბავშვისთვის, რომელიც პირველ ნაბიჯს დგამს სასკოლო ცხოვრებაში. გააზრებული მაქვს ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ჩემზეა. მე ვარ ადამიანი, ვინც მოსწავლეს, განათლების მიღებასთან ერთად, ცხოვრების, სკოლისა და ადამიანებისადმი დამოკიდებულებას უყალიბებს. ჩემი სურვილია, სასწავლო პროცესი გავხადო საინტერესო, შემეცნება ვაქციო სასურველ პროცესად და არ შევეუქმნა მოსწავლეს ბარიერი სახელმძღვანელოდან შეხვედრისას. შესაბამისად, მუდმივად ვეცნობი მეთოდურ ლიტერატურას, სიახლეებს, მით უფრო თუ ეს მშობლიური ენის სწავლებას ეხება.

ბოლო პერიოდში საკითხი აქტუალური გახდა და არაერთი აზრი გამოითქვა პირველ კლასელთა სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე იყო, კვლავ ი. გოგებაშვილის „დედა ენა“ გახდეს მთავარი სახელმძღვანელო თუ დროა ჩანაცვლდეს იგი თანამედროვე ავტორთა წიგნებით. საკითხის რადიკალური გადაწყვეტა არ მიმართა სწორ გზად. წელს ავირჩიე წიგნი, რომელიც სწორედ ი. გოგებაშვილის სწავლების პრინციპს ითვალისწინებს. ეს გახლავთ „დედა ენა“ ნ. მალაქვიძის ავტორობით, ვინაიდან წიგნი ი. გოგებაშვილის მიხედვით არის შექმნილი, სწორედ იმგვარი გადამუშავებით, რაზეც საუბარი მიმდინარეობს. პრინციპები შენარჩუნებულია, განახლებულია ბეჭდვითი მხარე. მაქსიმალურად შემცირებულია ხმარებიდან გასული ლექსიკური ერთეულები; წიგნი, რომლითაც ვასწავლი, ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. მისი დახმარებით სტანდარტის მიხედვით მოცემულ ესგ-ს შედეგს ვაღწევ. ამით იმის თქმა მსურს, რომ უკვე არსებობს ის ალტერნატივა, რის დაბეჭდვასაც ანი განიხილავენ.

სინახილით შუახვედრი „დედა ენის“ სკოლაში დაბრუნების ინიციატივას და აღნიშნავ, იწინააღმდეგე ახლები ბადასიწიწის, ახლები ბადასიწიწის, ხათა ვალიაჩოთ ისინი ბანახაბუჯ ვახიანე.

როგორც აღვნიშნე, „დედა ენის“ წიგნი, რომელიც ხელთ მაქვს, მაძლევს საშუალებას ვთქვა, რომ ი. გოგებაშვილის მიხედვით შექმნილი სახელმძღვანელო ხელოვნური ბარიერისგან ათავისუფლებს სწავლებას. ამის დასტურს მოსწავლეები მაძლევენ, როდესაც მათ ვაკვირდები, დასწავლის პროცესი ცხადდება ხოლმე – როცა მოსწავლე წერის დახმარებით ბგერად იმგვარი გადამუშავებით, რაზეც საუბარი მიმდინარეობს. პრინციპები შენარჩუნებულია, განახლებულია ბეჭდვითი მხარე. მაქსიმალურად შემცირებულია ხმარებიდან გასული ლექსიკური ერთეულები; წიგნი, რომლითაც ვასწავლი, ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. მისი დახმარებით სტანდარტის მიხედვით მოცემულ ესგ-ს შედეგს ვაღწევ. ამით იმის თქმა მსურს, რომ უკვე არსებობს ის ალტერნატივა, რის დაბეჭდვასაც ანი განიხილავენ.

რის ცნობას იწყებს, როცა მისთვის წერა კითხვის სწავლას აადვილებს, ვამბობ, დიახ, მე სწორად შევარჩიე სახელმძღვანელო. ვრწმუნდები, რომ ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ პრინციპები კვლავ შედეგიანი და უალტერნატივოა. მე სიხარულით შევხვდები „დედა ენის“ სკოლაში დაბრუნების“ ინიციატივას და აღვნიშნავ, იქნებ ალტერნატივის შესაქმნელად მუშაობის დაწყებამდე, არსებული წიგნები გადაისინჯოს, რათა ვალიაროთ ისინი განახლებულ ვერსიად.

ინოვაციური განათლების ფსიქოლოგი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს საუკეთესო ათეულის წევრი, პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ კონსულტანტ-მასწავლებელი

სკოლას „დედა ენა“ უბეჯდება!

საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც „დედა ენის“ ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას ითვალისწინებს, უპირობოდ მისასალმებელია.

აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოშობილი ვნებათაღელვა და აზრთა სხვადასხვაობა სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ერის საუწყვედ აღიარებულ ამ წიგნს ქართველთა ცხოვრებაში დაკისრებული ჰქონდა არა მხოლოდ პედაგოგიური, არამედ პოლიტიკური ინდიკატორის როლიც. ამიტომ იყო, რომ ამ წიგნსა და მის ავტორს, მოკეთებებთან ერთად, არც მტრები და განმქიქებლები აკლდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ეს მისია ამ უკვედავ წიგნს დღეს მეტოქეობა აკისრია.

ახალი მუდმივად კარგად დაიწყებული ძეგლია და ამდენად, ზედმეტი არ იქნება, თუ წარსულის ზოგიერთ გამოცდილებას გავიხსენებთ.

ჩვენმა დიდმა მოძღვარმა და განმანათლებელმა იაკობ გოგებაშვილმა თავისი „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, პირველად, 1865 წელს გამოსცა. იგი ბევრითი ანალიზური მეთოდით იყო შედგენილი. აღნიშნული სახელმძღვანელო ხელახლა 1867 წელს გამოვიდა. ამ გამოცემაში ავტორმა საკითხავი მასალა რამდენადმე შეცვალა, გაამარტივა და წიგნი უფრო საინტერესო გახდა.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მესამე გამოცემაში (1868წ.). ამ წიგნში ავტორმა, ბევრითი ანალიზური მეთოდის ნაცვლად, ადრე დაწუნებული ბევრითი სინთეზური მეთოდი გამოიყენა და ეს იმიტომ, რომ ბევრითი ანალიზური მეთოდი ძნელად გამოსაყენებელი დარჩა იმ დროის მასწავლებლებსათვის.

ასე ამზადებდა ნიადაგს დიდი პედაგოგი „დედა ენის“ შესაქმნელად, რომელიც პირველად 1875 წელს გამოსცა. საგრძნობი ცვლილებები განიცადა ამ სახელმძღვანელოს მეხუთე, მეექვსე და ოცდამეერთე გამოცემებში. არც ერთი წინა გამოცემა მომდევნოს არ ჰგავდა. დიდი პედაგოგი სიცოცხლის ბოლომდე (იგი 1912 წელს გარდაიცვალა) თავდაუზოგავად იღვწოდა „დედა ენის“ დასახვეწად, ვინაიდან დრო ავტორის წინაშე ბუნებრივად აყენებდა სახელმძღვანელოს გადამუშავების აუცილებლობას.

იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების შემდეგ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ, მისი ყველა სახელმძღვანელოს პატრონობა იაკობის უმცროს მემკვიდრეს, თანამოაზრესა და თანამებრძოლს, ლუარსაბ ბოცვაძეს მიანდო. ხანგრძლივი შრომის შემდეგ ლუარსაბ ბოცვაძემ „დედა ენის“ მეორე ნაწილი, საგრძნობი შენიშვნები შეიტანა და რედაქტირებული წიგნი განსახილველად წარუდგინა ნ.კ.გ. საზოგადოებას.

შედგა კომისია გრიგოლ ყიფშიძის, ვარლამ ბურჯანაძის, ივანე გომელაურის, პეტრე მირიანაშვილის და ლავრენტი ჩიმაკაძის შემადგენლობით. სადავო საკითხების გადამწყვეტი კომისია თავის სხდომებზე პირუთენელ სჯა-ბაასს მართავდა.

საყურადღებოა, რომ სახელმძღვანელოებზე მუშაობისას ლუარსაბ ბოცვაძეს არ დაურღვევია იაკობ გოგებაშვილის მეთოდური პრინციპები. გამგეობის ზოგიერთმა წევრმა წინადადება მისცა ლ. ბოცვაძეს, რომ მის მიერ გადამუშავებულ და რედაქტირებულ სახელმძღვანელოებზე დაენერა თავისი გვარი, რაც ლ. ბოცვაძემ ძალზე იწყინა და განაცხადა: – იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს მხოლოდ ერთი გვარი – იაკობ გოგებაშვილი უნდა ამწვენდეს. იაკობის „დედა ენა“ 1925 წლამდე გამოდიოდა.

გავიდა ხანი... 1943 წელს საქართველოს განათლების სამინისტრომ კონკურსი გამოაცხადა პირველი და მეორე კლასის სახელმძღვანელოებზე. რესპუბლიკის ბევრი მასწავლებელი ჩაება კონკურსში. დადგენილი ვადისთვის მათ წარმოადგინეს „დედა ენის“ მრავალი ვარიანტი. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს იმდროისთვის კარგად ცნობილმა პედაგოგებმა – ნინო ბოცვაძემ და ეკატერინე ბურჯანაძემ.

კომისიაში შედიოდნენ: განათლების მინისტრი გიორგი კიკნაძე, მინისტრის მოადგილე მარიამ ბურჭულაძე, პროფ. არნოლდ ჩიქობავა, მწერლები – გერონტი ქიქოძე და ირ. აბაშიძე; კომისიის მდივანი გახლდათ დოც. ვ. რამიშვილი (შემდეგ პროფესორი). სხდომებს ესწრებოდნენ სახელმძღვანელო

ლოს შემდგენლებიც.

კომისიის მუშაობა რამდენიმე დღე გაგრძელდა. კომისიის წევრებმა ავტორებს მითითებები მისცეს წიგნების შესწორებისთვის. მათ შენიშვნები გაითვალისწინეს და სახელმძღვანელოები შეასწორეს. დიდი მსჯელობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მოინახულეს ნინო ბოგვაძის და ეკატერინე ბურჯანაძის სახელმძღვანელოები. კომისიის დადგენილებით, პირველი კლასის სახელმძღვანელოს „დედა ენა“ ეწოდა, რადგან იგი სრულიად მისდევდა და ითვალისწინებდა იაკობ გოგებაშვილის პრინციპებს. წიგნი შედგენილი იყო ანალიზურ-სინთეზური მეთოდით და წერა-კითხვის ხერხის გამოყენებით. ამასთან, ავტორებმა გამოიყენეს შესასწავლ ასო-ბგერათა იაკობ გოგებაშვილისეული თანამდევრობა: გენეტიკის, მარტივიდან რთულზე გადასვლის, გავრცელებულობის პრინციპები. საგრძნობი ცვლილება განიცადა საკითხავმა მასალამაც.

წიგნის რედაქტორები ბრძანდებოდნენ პროფ. არნოლდ ჩიქობავა და პროფ. თავაზიშვილი. წიგნი გამოვიდა 1944 წელს და გამოდიოდა 1980 წლამდე.

1957 წელს განათლების სამინისტროში გაიმართა დისკუსია ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთა თანამშრომლების – ა. მოსიავესა და ზ. ხოჯავას მიერ შედგენილ წიგნზე „საანბანი წიგნის შედგენის ძირითადი პრინციპები ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ ახალი რედაქციის პროექტითურთ“. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა და პედაგოგიკის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა. კრებას თავმჯდომარეობდა საქართველოს განათლების მინისტრი გიორგი ჯიბლაძე. პროექტმა პედაგოგიურ საზოგადოებაში დიდი დავა გამოიწვია. ავტორები თითქოს ცდილობდნენ ი. გოგებაშვილის პრინციპებით ხელმძღვანელობას, მაგრამ მასთან წინააღმდეგობაში მოვიდნენ და მათი მცდელობა ბევრმა ი. გოგებაშვილის მეთოდური მემკვიდრეობის ხელყოფად აღიქვა. სხდომამ არ გაიზარა წარმოდგენილი პრინციპები.

1969 წლიდან ქვეყანაში სასკოლო ასაკი 6 წლით განისაზღვრა. შეიქმნა ექსპერიმენტალური კლასები, სადაც ნ. ბოცვაძისა და ეკ. ბურჯანაძის სახელმძღვანელო ჩანაცვლა პროფესორ ვალერიან რამიშვილის „დედა ენამ“ (სალიტერატურო ენის ნორმებით დედა ენა ერთცნობიანი კომპოზიცია). წიგნი შედგენილი იყო მოსწავლეთა ასაკობრივი თავისუფლებების გათვალისწინებით და ეფუძნებოდა ი. გოგებაშვილის სწავლების პრინციპებს. იგი გამოიყენებოდა 1998 წლამდე.

1998 წელს ეს წიგნი თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით გადამუშავდა პროფ. ვ. რამიშვილის მონაწილე, ქალბატონმა ნათელა მალაქვიძემ. იგი სკოლებში 2005 წლამდე მოქმედებდა. 2006 წელს სკოლებში შევიდა პროფ. ნათელა მალაქვიძისა და ქალბატონ ელენე მალაქვიძის „დედა ენა“, რომელიც მისდევს იაკობ გოგებაშვილის პრინციპებსა და ეროვნულ სასწავლო გეგმას. სახელმძღვანელოს სტატუსი მიენიჭა ასევე ვახტანგ როდონიას, ნინო ნაყურაშვილის და სხვ. „დედა ენასაც“, რომელსაც გოგებაშვილთან მხოლოდ წიგნის სახელწოდება „ანათესავებდა“. მოგვიანებით გამოვიდა გამოცემილი „ბაკურ სულაკაურის“ საავტორო ჯგუფის – ნინო გორდეგაძე, გვანცა ჩხენკელი – მიერ შედგენილი „დედა ენა“, რომელიც ი. გოგებაშვილისეულ პრინციპებს ითვალისწინებდა.

ნამყოფი ასეთ ვრცელ ექსკურსს იმ მოსაზრებით მივმართეთ, რათა მკითხველს შევასხენოთ, თუ რა დიდი შრომით, ჯვათა და რუდუნებით იქმნებოდა უკვე „დედა ენა“, რომელიც მესაძირკვლე გახდა შემდეგი თაობის სახელმძღვანელოების („დედა ენა“, „დედა ენა“), როგორი უკომპრომისონი იყვნენ საკონკურსო კომისიის წევრები, როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ჩვენი საზოგადო მოღვაწეები, მეც-

ნიერები, პედაგოგიური საზოგადოებრიობა და, რაც მთავარია, სახელმწიფო ამ უნიკალურ განძს. მაღლიერმა ერმა ძეგლი დაუდგა ამ უკვედავ წიგნს. ძეგლის პიედესტალს ნაზი ია ამშვენებდა. ვიღაც არამზადად ხელყო ეს მშვენიერება და მოიპარა.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიამ საკუთარი ხარჯით აღადგინა ძეგლის ეს აუცილებელი ატრიბუტი, მაგრამ იგი კვლავ მოიპარეს.

რაც შეეხება დღევანდელ ვნებათაღელვას „დედა ენის“ დაბრუნების გარშემო, იგი ბუნებრივია და სათუთ მიდგომას ითხოვს.

ვეთანხმებით ცნობილი მეცნიერისა და მოღვაწის, ბატონ გიორგი გოგოლაშვილის აზრს, იმის შესახებ, რომ: 1. სკოლაში „დედა ენის“ შესვლა უცვლელად არ მოხერხდება და არც შეიძლება; 2. არ შეიძლება ავტორად ინოვებოდეს ადამიანი, რომელმაც იაკობის „დედა ენაში“ ერთი ან ორი საანბანე სიტყვა შეცვალა; 3. ძეგლის სტატუსის მქონე სახელმძღვანელო კონკურსში არ მიიღოს მონაწილეობა; 4. უნდა იარსებოს ალტერნატიულმა წიგნებმაც.

- ჩემი აზრით:
- ❖ წიგნში აუცილებლად უნდა შევიდეს ცვლილებები;
- ❖ წიგნს უნდა დაენეროს იაკობ გოგებაშვილი;
- ❖ წიგნის შემდგენლებმა დაიცვან ი. გოგებაშვილის პრინციპები, სახელმძღვანელოს ავტორად ავტორისეული ხედვა, გემოვნებით შერჩეული დახვეწილი ტექსტების, პოეზიის ნიმუშების მისადაგება პატარების სულისკვეთებასთან;
- ❖ წიგნის შემდგენლებს, რომელთაც „ერთი ან ორი“ საანბანე სიტყვა აქვთ შეცვლილი, კომისიამ განიხილავს უარი უნდა უთხრას;
- ❖ ალტერნატიული წიგნების შერჩევისას აუცილებელია მასწავლებლის თავისუფალი ნება, ასევე უცილობლად გამოირიცხოს მასზე ზემდგომი ორგანოებისა და სხვა გავლენიანი პირების დიქტატი;
- ❖ „დედა ენის“ სახელმძღვანელოს დაბრუნება ნაქარავანად და სახელდახლოდ არ უნდა მოხდეს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საჭიროა გამოაცხადოს კონკურსი სათანადო პირობების მითითებით. მოხდეს საკონკურსოდ წარმოდგენილი წიგნების საჯარო განხილვა და მხოლოდ ამის შემდეგ წარედგინოს წიგნი კომისიას, რომელიც დაკომპლექტებული იქნება დარგის კომპეტენტური სპეციალისტებით. კომისიის დასკვნის საფუძველზე წიგნს მიენიჭოს გრიფი და შევიდეს სახელმძღვანელოდ სკოლებში. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი უნდა იყოს საუკეთესო კოლეგია და იქვე შემდგენლის სახელი და გვარი.

ხარისხის განვითარება

მნიშვნელოვანი მიღწევები და სამოქმედო გეგმები

ანა ფირცხალაიშვილი

განათლების ხარისხის უზრუნველყოფა პირდაპირ დაკავშირებულია ქვეყნის განვითარებასთან. ამიტომაც, ჩვენი გაზრდილი სისტემატურად ადევნებს თვალს და გარკვეული პერიოდულობით სთავაზობს მკითხველს იმ ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომლის დახმარებითაც, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა შეძლონ ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილება და შესაბამისი ხარისხის განათლების მიწოდება მოქალაქეებისთვის. მიმდინარე წლის მინურულს თვალს გადავავლეთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს მის ახალ დირექტორთან, გიორგი ვაშაქიძესთან ერთად, რომელიც საკუთარ მოსაზრებებს გვიზიარებს განვითარების მიზნებსა და სამომავლო გეგმების შესახებ, რაც უკვე მისი ხელმძღვანელობით განხორციელდება 2019 წლიდან.

დასაწყისშივე მინდა შევახსენო ჩვენს მკითხველს, რომ ცენტრმა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) წევრობასთან დაკავშირებით განაცხადი ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში წარადგინა, ცენტრის თვითშეფასების ფორმა და მასზე თანდართული დოკუმენტაცია ასოციაციის სამდივნოს გაეგზავნა ზაფხულის პერიოდში. აღნიშნულ პროცესებს, ნოემბერში, მოჰყვა ასოციაციის შემფასებელთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოში, ცენტრის ადგილზე შეფასების მიზნით განხორციელდა ინტერვიუები – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლებთან, ცენტრის თანამშრომლებთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებთან, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტებთან, ავტორიზაციის, აკრედიტაციის და საპედაგოგო საბჭოების წევრებთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. თვითშეფასების ანგარიშისა და ადგილზე მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე შემფასებელთა მისია შეადგენს დასკვნას და ნარუდგენს ასოციაციას, რომლის საფუძველზეც, შესაბამისი საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას ასოციაციაში ცენტრის

რომ ავტორიზაციის შემთხვევაში პროცესის წარმატებით განხორციელება დიდად განაპირობა შეფასების პროცესში საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობამ, მათ შორის შემფასებელთა ჯგუფის თავმჯდომარის ან/და თანათავმჯდომარის სტატუსით. აკრედიტაციის პროცესში უცხოელი ექსპერტები მხოლოდ ნაწილობრივ იყვნენ წარმოდგენილნი, კერძოდ სადოქტორო, რეგულირებადი და უცხოენოვანი პროგრამების შეფასება განხორციელდა საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით. ასეთმა მიდგომამ ხელი შეუწყო პროცესის ინტერნაციონალიზაციას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია გლობალიზაციის ეპოქაში. მონეულ ექსპერტთა ამ დონით ჩართულობა განპირობებულია იმით, რომ 2018 წელი ახალი სტანდარტების დანერგვის პირველი წელია და მხოლოდ ადგილობრივ რესურსებს ვერ დავყვარდნობოდით, გარდა ამისა, უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობა პოზიტიური გამოცდილება იყო ქართველი ექსპერტებისთვის. ასე რომ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება მომავალშიც ამ ფორმატით გაგრძელდება. მომავალ წელს ჩვენ მნიშვნელოვან რესურსს ჩავდებთ ქართველ ექსპერტთა მომზადება/გადამზადებაში, რაშიც ნამყვან როლს ცენტრის ახალი სტრუქტურული ერთეული – „ხარისხის სკოლა“ – შეასრულებს“.

რაც შეეხება პროფესიულ განათლებას, აქ სისტემის ძირეული რეფორმირება ახლად მიღებული კანონმა უნდა განაპირობოს. კანონის პირველი ვარიანტის ავტორი თავად იყო და კარგად იცის, რა გამოწვევების წინაშე დგას განათლების ეს სფერო. თუმცა, ისიც უნდა იქნას, რომ ახალი კანონის მიღებამდეც ბევრი რამ შეიცვალა. დაფუძნდა რამდენიმე ახალი პროფესიული სასწავლებელი, მთელი რიგ დაწესებულებებში დაიწყო დუალური სწავლების მეთოდი, და ა.შ. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში კანონმა ძირეული ცვლილება შეიტანა, კერძოდ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე შეფასება ავტორიზაციის მიზნებისთვის, 3-ის ნაცვლად, 5 სტანდარტით განხორციელდება.

მომავალი გეგმებზე საუბრისას, პირველ რიგში, ასევე შეეხებთ საჯარო სკოლების სა-



სკოლებთან ერთად აქტიურად იქნებიან ჩართულები ჩვენი ექსპერტები, ე.წ. ფასილიტატორები. ამ კუთხით აუცილებელი იქნება რესურსცენტრების გაძლიერება, რადგან ხარისხის განვითარების მთავარ აქტორებად სწორედ რესურსცენტრები უნდა იქცნენ. თვითშეფასების შემდგომ, სკოლებს შეეთავაზებათ განმავითარებელ გარე შეფასებას, რომლის საფუძველზე შემუშავდება თითოეულ სკოლაზე მორგებული მრავალწლიანი განვითარების გეგმა. ამ პროცესშიც ნამყვანი როლი რესურსცენტრებს უნდა ჰქონდეთ. ხარისხის განვითარების პროცესში სკოლების და რესურსცენტრების აქტიური ჩართულობით ჩვენ მნიშვნელოვანად შეუწყობთ ხელს საჯარო სკოლებში ხარისხის განვითარების შიდა კულტურის ჩამოყალიბებას და, ამავდროულად, მოვახერხებთ ხარისხის განვითარების გარე მექანიზმების დეკონცენტრაციას ცენტრიდან. ამასთანავე ინდივიდუალურად და კონკრეტული სკოლის საჭიროებებზე მორგებული განვითარების გეგმა სამინისტროს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ სკოლებს მიზნობრივი და კონკრეტული შედეგებზე ორიენტირებული დახმარება გაუწიოს, რისი საბოლოო მიზანიც სასკოლო განათლების ხარისხის გაუმჯობესება იქნება. ერთი სიტყვით, ეს იქნება სკოლების მხარდაჭერაზე და განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი და არავითარ შემთხვევაში – ინკვიზიციური.“

თუ აკრედიტაციის თემას გავაგრძელებთ, გიორგი ვაშაქიძის აზრით, ცენტრში ადამიანური რესურსების ოპტიმიზაციის საკითხიც მოსაგვარებელია; წლის განმავლობაში, აკრედიტაციის სამმართველოს 200-ზე მეტი პროგრამის აკრედიტაციის ადმინისტრირება უნდა, ამისთვის კი, დაახლოებით, 2-ჯერ მეტი თანამშრომელია საჭირო. „ამ ყველაფერს რეორგანიზაციას ვერ დავარქვევდი, ვეცდებით ადამიანური რესურსები სწორად გავანალიზოთ, რაც შეეხება რეორგანიზაციას, ამაზე მომავალში ვიფიქრებ“.

კიდევ ერთ საკითხზე ფიქრობს ბატონი გიორგი, ეს ცენტრში „ხარისხის სკოლის“ შექმნა, რომელიც სამი მიმართულებით იმუშავებს: ახალი სტანდარტების საფუძველზე გადაამზადებას ცენტრის თანამშრომლებს, უმაღლესი, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს; გარდა ამისა მომზადება/გადამზადების პროგრამებს შესთავაზებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის სამ-

მთავარი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მიზნით, მომავალშიც ახალი, ევროპული სტანდარტებით განხორციელდება.

რის სრულ წევრად განვიხილავთ ან განვიხილავთ უარის თქმის შესახებ. დასკვნის პირველად ვარიანტს გაეცნობა ქართული მხარე, საკუთარ კომენტარს გაავრცელებს ამა თუ იმ ფაქტორზე უზუსტობასა (არსებობის შემთხვევაში) და საკითხთან მიმართებაში. რაკი შემფასებელთა მხრიდან პირველადი შეფასება ძალიან დადებითი იყო, ცენტრის დირექტორი იმედოვნებს, რომ პირველადი დასკვნა, რომელიც იანვარში უნდა მიიღოს, ასევე დადებითი იქნება.

იმ საკითხთა შორის, რასაც ბატონი გიორგი განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიიჩნევს უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ნაწილში, ახალი სტანდარტებით ეფექტური ოპერირებაა. „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები დაეფუძნა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG-2015), რითაც გავითვალისწინეთ ასოციაციის ხელშეკრულებით მოცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია. შეიძლება ითქვას, რომ პროცესი საკმაოდ წარმატებულად წარიმართა, 30-მა უნივერსიტეტმა განახლებული სტანდარტებით გაიარა ავტორიზაცია და 200-ზე მეტმა პროგრამამ – აკრედიტაცია, თუმცა არიან უმაღლესი განათლების ვერ გაიარეს ავტორიზაცია და პროგრამები, რომელთაც ვერ მიიღეს აკრედიტაცია. მთავარი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მიზნით, მომავალშიც ახალი, ევროპული სტანდარტებით განხორციელდება. აღსანიშნავია,

კითხს. განათლების ამ რგოლის შესახებ ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში ადრე არასოდეს გვისაუბრია. ბატონი გიორგის მოსაზრება ასეთია: „მსოფლიო გამოცდილებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, ექვემდებარება განათლების ხარისხის განვითარების კონტროლს. ჩვენი მიზანია, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესაფასებლად, შევიმუშაოთ განვითარებაზე და შედეგზე ორიენტირებული სტანდარტები. მოგეხსენებათ, 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებამდე საჯარო სკოლებს გავრქელებული აქვთ ავტორიზაციის ვადა. ეს დრო ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ საჯარო სკოლებში განათლების ხარისხის განვითარების ეფექტური და პროგრესული მექანიზმები ჩამოვყალიბოთ.“

მსოფლიო გამოცდილებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, ექვემდებარება განათლების ხარისხის განვითარების კონტროლს. ჩვენი მიზანია, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესაფასებლად, შევიმუშაოთ განვითარებაზე და შედეგზე ორიენტირებული სტანდარტები.

პირველ რიგში, შევიმუშავებთ ახალ სტანდარტებს, რომელშიც გააზრებული იქნება ხარისხის განვითარების ევროპული გამოცდილების საუკეთესო მაგალითები. ამის შემდგომ ამ სტანდარტებს გავაცნობთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს და დავეხმარებით, ახალი სტანდარტების საფუძველზე, საკუთარი შესაძლებლობების შეფასებაში. ეს მოხდება თვითშეფასების ანგარიშების მეშვეობით, რომელთა შემუშავებაშიც

სახურის თანამშრომლებს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს და ყველა დაინტერესებულ პირს, ვინც ჩართულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში.

აკრედიტაციის საბჭოს გაძლიერებაც მის სამომავლო გეგმებში შედის. ამბობს, რომ 16-კაციანი საბჭო განათლების ყველა სფეროს ვერ ფარავს. პრაქტიკამ აჩვენა, რომ რიგ შემთხვევებში შესაძლოა საჭირო გახდეს, საკითხი შეფასებისთვის გადავზავნოთ საგან-

გებოდ შექმნილ დარგობრივ ჯგუფს, რომელიც თავის მოტივირებულ ანალიზს, მოსაზრებას მიანვდის აკრედიტაციის საბჭოს, რომელიც შემდეგ თავად გადაწყვეტს, გადაწყვეტილების მიღებისა და დაყვანის თუ არა საგანგებო ჯგუფის მიერ მომზადებულ სარეკომენდაციო ანალიზს.

პრაქტიკიდან გამომდინარე, ასევე ფიქრობს გარკვეულ პროცედურულ ცვლილებებზე. „ისეთი მექანიზმი უნდა შექმნათ, რაც ავტორიზაციის წარმოების დროში მართვას გაგვიადვილებს. მნიშვნელოვანია, რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება, მით უმეტეს, თუ ეს გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმებას ან სტუდენტთა ჩარიცხვის შეზღუდვას უკავშირდება, არ იქნეს მიღებული იმ პერიოდში, როცა აბიტურიენტები უნივერსიტეტში ჩასარიცხად ემზადებიან და ალტერნატიულ უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესაძლებლობა აღარ აქვთ. მაგალითისთვის აქ გამოვყავდებოდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შემთხვევა. ასეთი ვითარების თავიდან აცილება შესაძლებელი იქნება, თუ ავტორიზაციის პროცესს პერიოდულად დაეყოფით, ანუ ავტორიზაციაზე განაცხადების შემოტანა შესაძლებელი იქნება წლის გარკვეულ პერიოდში (ახლა სურვილის მიხედვით შემოაქვთ), ასევე გარკვეულ პერიოდში წარიმართება ავტორიზაციის წარმოება, ხოლო საბჭო გარკვეულ პერიოდში იქნება უფლებამოსილი, რომ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები. ამ ინიციატივის მიზანია, რომ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება არ დაემთხვეს საგამოცდო ან ჩარიცხვის პერიოდს, რათა საბჭოს გადაწყვეტილებამ არ დააზარალოს აბიტურიენტი ან მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელსაც სწორედ ამ კონკრეტულ უმაღლეს დაწესებულებაში სურს სწავლის გაგრძელება.“

გიორგი ვაშაქიძე განათლებით იურისტი, სამართალმცოდნე, მიღებული აქვს ჰამბურგის უნივერსიტეტის (გერმანია) სამართლის მაგისტრის ხარისხი ბიუნესსამართალში; ჰამბურგის ევროპული კოლეჯის ევროპისმცოდნეობის მაგისტრის ხარისხი; მინიჭებული აქვს სამართლის დოქტორის კვალიფიკაცია ჰამბურგის უნივერსიტეტის მიერ; არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ბატონი გიორგი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორად 2 თვის წინ დაინიშნა, თუმცა განათლება, ზოგადად, მისი საქმიანობის სფეროა. რაც შეეხება ცენტრს, პირველი შეხება დოქტორის დიპლომის აღიარების გამო ჰქონდა. შემდეგ იყო სამართლის პროგრამებისთვის დარგობრივი მასსიათებლების შემუშავებელი დარგობრივი საბჭოს წევრი; 2017 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა, განახლებული სტანდარტებით, საპილოტე რეჟიმში გაიარა შეფასება, 2018 წელს კი – ავტორიზაცია. ორივე შემთხვევაში ბატონი გიორგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს წარმოადგენდა, როგორც პროგრამის ხელმძღვანელი.

ასე რომ, იგი ცენტრის სპეციფიკასაც კარგად იცნობს და საქმიანი ურთიერთობებიც არაერთხელ ჰქონია თანამშრომლებთან, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისთვის, რომ სიახლეები, რომლის შესახებაც საუბრობს, განხორციელდება და როგორც თავად ამბობს, „ეს იქნება მხოლოდ სასიკეთო ცვლილებები“.

ბავშვთა უფლებები

„დაინახე ყველა ფერი“ – დაამარსხე სტიმმა

ლალი ჯელაძე

19 დეკემბერს სოციალურ ცვლილებებზე მიმართულმა ორწლიანმა საკომუნიკაციო კამპანიამ „დაინახე ყველა ფერი“ შედეგები შეაჯამა. კამპანიამ, ქვეყნის მასშტაბით, მილიონზე მეტი ადამიანი მოიცვა და ხელი შეუწყო შეზღუდული შესაძლებლობების მიმართ არსებული სტიგმის შემცირებას. ორწლიანმა აქტივობებმა შეძლო შემოქმედება მოეხდინა ყველაზე გავრცელებულ არასწორ წარმოდგენებსა და ცრურწმენებზე, რომლებიც შშმ პირების მიმართ არსებობს. კამპანია, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული შშმ ბავშვები და მათი მშობლები.

„ვამაყობთ, რომ საქართველომ მოახერხა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ ნეგატიური წარმოდგენებისა და დამოკიდებულებების 13 პროცენტზე მეტი შემცირება, – განაცხადა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში **ლასან ხალიძა** – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებს ახლა მეტი შესაძლებლობა აქვთ, განვითარდნენ და ისარგებლონ საკუთარი უფლებებით. კამპანიის შედეგად, ჩვენ შევქმენით მხარდაჭერა ჯგუფი, რომელიც გაავრცელებს მუშაობას შემდგომი ცვლილებებისა და უფრო მეტად ინკლუზიური საზოგადოების შექმნისთვის. ჩვენ განვავრცობთ საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას სოციალური ცვლილებების პროცესში და ვიმუშავებთ სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფთან, რათა დაეამარსებოს შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ არსებული სტიგმა“.

კამპანია მრავალფეროვან აქტივობებს მოიცავდა: საზოგადოების ინფორმირება შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ და არსებული მითებისა და არასწორი წარმოდგენების გაქარწყლება; დამოკიდებულების სწორი მოდელების ილუსტრირება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და არმქონე ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის ნახალების; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი მშობლების გაძლიერება – მათთვის ადვოკატირების პლატფორმის შექმნა; პოლიტიკისა და საზოგადოებრივი დისკუსიების ინიცირება და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში არსებული მექანიზმებისა და თემების გაძლიერება.

2017 წლის თებერვლიდან, ქვეყნის მასშტაბით, ჩატარდა შესვლადები, მედიაკამპანიები, დიდი ნაციონალური და სათემო ღონისძიებები, დაიწყო თანამშრომლობა პროფესიონალებთან – ექიმებთან და მასწავლებლებთან – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლებთან მათი კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად. დებატებისა და დისკუსიების გზით მოსწავლეებმა და სტუდენტებმა გაიგეს მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების შესახებ. მომზადდა ვიდეოსერიები „მეგობრობის ისტორია“, რომელიც ასახავდა ორი ახალგაზრდის – შესაძლებლობის მქონესა და არმქონეს – გაცნობისა და დაუმეგობრების გამოცდილებას.

მომზადდა და გავრცელდა ბროშურა „მითები და რეალობა“, რომელიც მიეძღვნა შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ არსებული მითებისა და არასწორი ინფორმაციების გაქარწყლებას, ასევე კომიქსები, რომელშიც ასახულია სწორი დამოკიდებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ. მუნიციპალიტეტების შორის გამართულ კონკურსში მონაწილეობდა 10 მუნიციპალიტეტი, რომლებმაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის წარმოადგინეს ინკლუზიური და მხარდაჭერი გარემოს შექმნის საუკეთესო გამოცდილება. ეს მუნიციპალიტეტები როგორც მოდელად იქცნენ საკუთარ თემსა თუ სოფელში.

ონლაინკამპანიაში „მშობლები ცვლილებისათვის“ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები ყვებოდნენ საკუთარ ისტორიებს სოციალური მედიის საშუალებებით. ადამიანებს შეეძლოთ შეზღუდული შესაძლებლობების მიმართ საკუთარი ცოდნის გადამონებმა და ახალი ინფორმაციის მიღება. პარტნიორობის ფარგლებში ჩატარდა სახალისო აქტივობები და შშმ ადამიანების შესაძლებლობის შესახებ ვიდეოების ჩვენება კინოსეანების დანერგვამდე.

მაია ქურციკიძე, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელმა, გულისხმევდა გამოთქვა იმის გამო, რომ კამპანია სრულდება, რადგან ეს იყო ძალიან საინტერესო ორი წელი. „შევხვდით ბევრ არაჩვეულებრივ ადამიანს და დავინახეთ, რომ ერთობლივი ძალისხმევით, მართლაც შესაძლებელია რეალური ცვლილებები – ამბობს მაია ქურციკიძე. – გამარჯობა ჩვენი კამპანიის მეგობრები და კამპანიაც სწორედ გაბრუნდა და სხვა ბავშვების, მათი მშობლების შესახებ მიმდინარეობდა. ბრძოლა სტიგმასთან, ნეგატიურ განწყობებთან არ უნდა განვიხილოთ განცხობულად, სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტებისაგან იზოლირებულად, რასაც ჩვენ ხშირად ვაკეთებთ. ძირითადად, ვფიქრობთ ხოლმე, რომ კანონმდებლობა მთელი, კონკრეტული პოლიტიკა ან რაღაც სტრატეგია შევიმუშაოთ, მაგრამ არ ვფიქრობთ, როგორ შევცვალოთ იმ საზოგადოების განწყობები, სადაც ვცხოვრობთ. არადა, სწორედ ეს განწყობები მოქმედებს იმაზე, თუ როგორ განხორციელდება კანონი ან ესა თუ ის სტრატეგია. ამიტომაც ყველა მოგინდებოდა, როცა კონკრეტული პოლიტიკის, სტრატეგიას თუ კანონმდებლობას ვიმუშავებთ, აუცილებელია საზოგადოებაში არსებული განწყობები და არასწორი წარმოდგენები გავითვალისწინოთ.“

კამპანიის დაწყებამდე ოფისიდან ჩაატარა კვლევა და შეისწავლა, რა იყო ის არასწორი წარმოდგენები და ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებაში არსებობდა, მთავარი გზავნილებიც სწორედ ამ კვლევის შედეგებს დაეფუძნა.

მაია ქურციკიძე: „მივდიოდით ადამიანებთან და ვაქარწყ-

ლებდით იმ არასწორ წარმოდგენებს, რომლებიც მათ ჰქონდათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების შესახებ. ეს იყო შიში განსხვავებული, უცხოის მიმართ, ეს იყო ინფორმაციის ნაკლებობა, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, არის მიზეზი, ან ნეგატიური განწყობების. გარკვეულწილად, ამაზე საბჭოთა პერიოდის იზოლაციონისტურმა პოლიტიკამ იქონია გავლენა – ეს ადამიანები, წლების განმავლობაში, საზოგადოებისაგან იზოლირებულად ცხოვრობდნენ. კამპანიის ძირითადი სტრატეგია, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებისათვის ამ არაჩვეულებრივი ადამიანების გაცნობა იყო. სამწუხაროა, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი, ჯერ ისევ ფიქრობს, რომ შშმ ადამიანებს არაფერი შეუძლიათ. ვცდილობდით, მათთვის დაგვენახებინა შშმ ადამიანების შესაძლებლობები. კამპანიის ფარგლებში, ნაახალისეთ ურთიერთობა შშმ ადამიანებსა და სხვა ადამიანებს შორის. შევქმენით პლატფორმები ადვოკატირებისთვის, რომლის საშუალებითაც მშობლები შეძლებდნენ თავიანთი შვილების საჭიროებების ადვოკატირებას და მათ შესახებ ამბების მოყოლას. „მეგობრობის ისტორიების“ გმირები იყვნენ, მაგალითად, სანდრო და გიორგი. ისინი ერთ დღეს ერთად ატარებდნენ – მიდიოდნენ კინოთეატრში ან სხვა ადგილას. პროცესი მათ ეხმარებოდათ, უკეთ დაენახათ ერთმანეთის საჭიროებები და ამით დაემსხვრათ სტერეოტიპები, რომლებიც მათ გარშემო შშმ ადამიანების მიმართ არსებობდა. სანდროს ციტატა მინდა გავაცნოთ, ის ამბობს: „გიორგის გაცნობის შემდეგ ბევრი რამ ვისწავლე, დამეხმარა დამენახა ჩემი არასწორი წარმოდგენები შშმ ადამიანების მიმართ და დამენახა ის, რასაც ადრე ვერ ვხედავდი. ადამიანებს ემინათ იმის, რაც არ იციან და ამგვარი ურთიერთობები გვეხმარება, დავამარცხოთ ეს შიში.“ სანდროსა და გიორგის მსგავსად ბევრი სხვა წყვილი იყო ჩვენი „მეგობრობის ისტორიების“ ვიდეოგმირი – ლუკა და გიგა, ანა და მარიამი, დათო და ანა, გიო და ბექა. ამ მეგობრობით ისინი სხვებსაც ეუბნებოდნენ, რომ აუცილებელია თქვენც იმეგობრობით.

დღეს აქ ვხედავთ არაჩვეულებრივი გიგის გამოფენას, ასევე, პარაოკესტრის წარმომადგენლებს, რომლებიც საოცრად უკრავენ ინსტრუმენტებზე – მე ვერც ერთ ინსტრუმენტზე ვერ ვუკრავ, რადგან ეს არ შემიძლია, მათ კი შეუძლიათ – ჩვენ ყველაზე განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ვართ. პარაოკესტრის წევრები ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენლები იყვნენ ჩვენი კამპანიის და ძალიან გვეხმარებოდნენ, რომ საზოგადოებისათვის გავგეცნოთ მათი შესაძლებლობები. ასევე, ჩვენთან მეგობრობდა ლექსო, რომელიც არაჩვეულებრივად ხატავს, ნინო, ნათია, გიგო მუიკაშვილი და ძალიან ბევრი ბავშვი. ბევრი მათგანი ახდენდა თავისი შესაძლებლობების დემონსტრირებას. მივდიოდით იქ, სადაც ბევრი ხალხი იყო, ვანყოფინით რეგონულ პრეზენტაციებს, ვცდილობდით ახალ აუდიტორიებს მივწვდომოდით. რაგბის ჩემპიონატზეც წავყვეთ, იქაც მივწვდით განსხვავებულ აუდიტორიას, რათა მათთვისაც გვეთქვა, ვინ არიან ეს ადამიანები და რა არის მათი საჭიროებები.

კამპანიის ფარგლებში დაარსებულ „მითებისა და რეალობის ჭკა“ ძალიან კარგი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებისგან – „ჭიდან“ იღებდნენ ფურცლებზე დაწერილ მითებს და შედეგ ეცნობოდნენ, რა იყო მათი რეალობა. ცდილობდნენ ამ მითებისა და რეალობის ლაბირინთებში გარკვევას. ასევე, გამოვეცით ბროშურა „მითებისა და რეალობის“ შესახებ, სადაც წარმოდგენილია, რა არის მითი და რა – რეალობა შშმ ადამიანებთან დაკავშირებით. ამ თემაზე საინტერესო კომიქსიც შევქმენით, რომელიც აცნობდა ადამიანებს, როგორ უნდა იყოს ურთიერთობები შშმ ადამიანებთან. უმეტეს შემთხვევაში, არასწორი დამოკიდებულების მიზეზი, სწორედ ინფორმაციის ნაკლებობა აღმოჩნდა, სამწუხაროდ, საზოგადოების გარკვეული ნაწილი არ იცნობს შშმ ადამიანებს და, აქედან გამომდინარე, არც ის იცოდნენ, როგორ ურთიერთობათ მათთან.

„პლატფორმა მშობლებისათვის“ საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა ადამიანებისთვის, იმ საკითხების ადვოკატირება მოეხდინათ, რომელიც მათ შვილებთან დაკავშირებით აწუხებდათ. ამიტომ, შემიძლია ვითხრა, რომ ეს კამპანია იყო მშობლების კამპანია და ძალიან მეამაყება, რომ ისინიც ასე მიიჩნევენ. აქტიურად ვსაუბრობდით ინკლუზიური განცდილების მნიშვნელობაზე და არაერთი ვიდეოსერია შეიქმნა ინკლუზიური განცდილებაზე. ვხვდებით ბავშვებს, სტუდენტებს, მოვიარეთ ძალიან ბევრი ქალაქი და რეგიონი, ვმართავდით დისკუსიას, სახალისო კითხვარებისა და თამაშების საშუალებით ვცდილობდით, ბავშვებისთვის მივცინოდა ინფორმაცია. ასეთი შეხვედრები გვექონდა ახალი ინტელ ბავშვებთან და ბროშურები გამოვეცით არა მხოლოდ ქართულ, არამედ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეც.“

იუნისეფის წარმომადგენელი ბიზნესექტორთან, მედიასთან და მუნიციპალიტეტებთან პარტნიორობას ნაყოფიერ თანამშრომლობად მიიჩნევს, ხოლო კამპანიის ფარგლებში, პროფესიულ ჯგუფებთან (ექიმებთან, მასწავლებლებთან) ახლახან დაწყებულ თანამშრომლობას – უმნიშვნელოვანეს აქტივობად: „მათ ვესაუბრებით იმის შესახებ, რა სტერეოტიპები არსებობს პროფესიულ წრეებში და როგორ უნდა ჩამოაყალიბონ თვითონ პარტნიორული ურთიერთობები შშმ ადამიანების მშობლებთან, რეკომენდაციებიც კი შემუშავდეს, ბუნებრივია, თანამშრომლობას შემდგომშიც გავაგრძელებთ.“

ამ ყველაფრის შედეგად კი შევძელით არსებული სტიგმის, სტერეოტიპებისა და ნეგატიური განწყობების შემცირება, რაც საზოგადოებაში ასე ძლიერადაა ფესვგადგმული. თუმცა, რაკევირებში, ეს მხოლოდ ჩვენი კამპანიის დამსახურება არ არის, ქვეყანაში ბევრი სხვა საინტერესო ინიციატივა ხორციელდება. ამიტომაც არის საჭირო ჩვენი ძალისხმევის გაერთიანება, რომ ყველა ერთად შევძლოთ მივიღოთ ტკაპამდე, როცა



ეს ადამიანები იზოლირებული კი არ იქნებიან, არამედ – საზოგადოებაში სრულად ინტეგრირებული და მათი შესაძლებლობების მაქსიმუმი წარმოჩენილი. მთავარი მიზანია, შშმ ადამიანები დავიცვათ დისკრიმინაციული მიდგომებისგან – კამპანიის ფარგლებში, სწორედ ამის სათქმელად მივწვდით მილიონ-ნახევარ ადამიანს. მინდა, ერთ-ერთი მშობლის, ნიკა ძიძიგურის ციტატა გავაცნოთ: „ახლა მე ვხედავ ბევრ სხვა ფერს, ჩვენ ყველაზე ვხედავთ უფრო მეტ ფერს, ვიდრე ადრე.“ – კამპანიის მიზანაც ხომ ეს იყო – დაგვენახა ბევრი სხვა ფერი.“

კამპანიის დასასრული ამ მიმართულებით მუშაობის დასასრულს არ ნიშნავს, რადგან იუნისეფის კვლევის მიხედვით, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ჯერ კიდევ ატარებს სტიგმას შშმ ბავშვების მიმართ და სტერეოტიპებთან ბრძოლა ქვეყანაში ჯერ კიდევ რჩება მთავარ გამოწვევად.

იუნისეფის კონკრეტული გეგმების შესახებ, მაია ქურციკიძე ამბობს, რომ გაეროს ბავშვთა ფონდს გეგმები სხვადასხვა მიმართულებით აქვს, ყურადღებას კი იმ სახელზე ამახვილებს, რომელიც უახლოეს მომავალში დაინერგება. არსებულ სამედიცინო მოდელის ნაცვლად, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის შეფასების სოციალური მოდელი ამოქმედდება: „აქამდე, სახელმწიფოში ფუნქციონირებდა შეზღუდული შესაძლებლობის სამედიცინო დიაგნოზზე დაფუძნებული შეფასება, სოციალური მოდელი უნდა გადმავალა კი აუცილებელია და მათი მშობლებისათვის. ბავშვებს, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობა აქვთ და ჯერ კიდევ ცხოვრობენ დიდი ზომის სახელმწიფო ინსტიტუტებში, აუცილებელია უნდა მივიღოთ ოჯახურ გარემოში ცხოვრების საშუალება. ამ მიზნით, ახლახან, თბილისში ვავხვებით სპეციალური მომსახურება იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ადრე ჩველ ბავშვთა სახლში ცხოვრობდნენ. ძალიან მიხარია, რომ დღეიდან ეს პატარები უკვე ოჯახურ გარემოში იცხოვრებენ და მათზე ინდივიდუალურ მიდგომებზე დაფუძნებული მოდელი იზრუნებენ.“

საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის ელჩი **ნიკოლოზ რაჭველი**, ორწლიანი კამპანიის შედეგებისას, ამბობს, რომ მას, როგორც მუსიკოსსა და როგორც, უბრალოდ, ამ ქალაქის მკვიდრს, დიდი გამოცდილება მისცა იმ რამდენიმე ღონისძიებაში, რომელშიც აქტიურად ჩაება. განსაკუთრებით კი პარაოკესტრთან თანამშრომლობას გამოყოფს: „შთაბეჭდავი ღონისძიებების ჩამონათვალი ძალიან დიდია, მაგრამ განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ყველა ჩემს კოლეგას, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით, აბსოლუტურად უანგაროდ ვეერთდებოდნენ ამ მნიშვნელოვან ნაშრომებში – სტიგმის დაწვევის პროცესში. კამპანიის ფარგლებში ჩატარებული კონცერტების მთავარი გმირები იყვნენ: ლიზა ბათიაშვილი, ნინო მაჩაიძე, დავით ალადაშვილი და სხვები. მახსენდება, ნინო მაჩაიძის კონცერტზე დარბაზში მსხდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, მათთან საოცარი კომუნიკაცია გვექონდა სცენიდან. ნინო ბავშვებთან წინა დღეებში მივიდა და დაუმეგობრდა კიდევ. მე მათთან დღესაც მაქვს პირადი მიმოწერა და, როცა ახალ კომპოზიციაზე იწყებენ მუშაობას, რჩევებსაც მეკითხებიან.“

მიუხედავად იმისა, რომ კამპანია თითქოს მთავრდება, სინამდვილეში ახლა იწყება – ჩვენ ხომ ყველა კარგად ვიცით, ეს ყველაფერი იმისთვის დაიწყო, რომ მომავალში კიდევ უფრო აქტიურად გავრძელებს ამ მიმართულებით მუშაობა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ სტიგმის დაწვევა შევძლოთ. ეს ხაზი კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ და ვანავითაროთ, რომ საზოგადოებას ამ ადამიანების შესაძლებლობები მეტად გავაცნოთ. ბუნებრივია, აქტივობებში მონაწილეობას ყოველთვის მივიღებ და დიდი იმედი მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს, საბოლოოდ, ისე შეიცვლება სურათი, რომ ვერც კი წარმოვადგენდით. მთელი ჩემი ქვეყნის სახელით ვუხდის მადლობას იუნისეფს, რომელიც უკვე ჩემი ოჯახიცაა, ამ კამპანიის წამოწყებისთვის და არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისთვის, ჩემი სამშობლოს გვერდში დგომისთვის“.

კამპანიის – „დაინახე ყველა ფერი“ – შედეგები ციფრებშიც შთაბეჭდვად გამოიყურება – საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მიმართ 2015 წელს არსებული სტიგმა 41.5%-დან 2017 წელს 28.3%-მდე შემცირდა. თუმცა, შემდგომი ცვლილებები, როგორც კამპანიის ორგანიზატორები ამბობენ, უკვე სახელმწიფოზე დამოკიდებული და იმაზე, იქცევა თუ არა სოციალური ცვლილებებისკენ მიმართული კომუნიკაცია სახელმწიფო პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმების ნაწილად.

მანდატურის სამსახური

განათლების რეფორმა წარმოუდგენელია უსაფრთხო სკოლის კონსეფციის გარეშე

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, მიხეილ ბატიაშვილმა, სამსახურეობრივი მოვალეობის სამაგალითო შესრულებისთვის, 54 მანდატური მადლობის სიგელებით დააჯილდოვა. მინისტრმა მადლობის სიგელები გადასცა, ასევე, მანდატურის სამსახურის შედგენილი თანამშრომელს.

სიგელები გადაეცათ მანდატურებს, რომლებმაც მოსწავლეების გადარჩენისა და მათი ჯანმრთელობისთვის საკუთარი სიცოცხლე არაერთხელ დააყენეს რისკის ქვეშ, მანდატურებს, რომლებიც მანდატურის სამსახურის დაარსების პირველივე დღიდან მუშაობენ და მათ, ვინც საკუთარ მოვალეობას გამყოფი ხაზის პირას მდებარე სოფლის სკოლებში ასრულებენ.

„განათლების რეფორმა წარმოუდგენელია უსაფრთხო სკოლის კონსეფციის გარეშე. – განაცხადა მინისტრმა – დღეს დაჯილდოვებული მანდატურის სამსახურის წარმატებული თანამშრომლები. ვფიქრობთ, რომ გაუმჯობესებულმა პირობებმა, ჩართულობის ზრდამ მრავალი კუთხით და, ძირითადად, სკოლის უსაფრთხოების მიმართულებით, მოგვიტანა



ყველა პარამეტრით მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული შედეგები, რომელიც 2018 წლის ბოლოს გვაქვს. ეს მთლიანად ერთიანი გუნდის დამსახურებაა და ყველა იმ ადამიანის, რომელიც სკოლის უსაფრთხოებაზე ზრუნავს. ამიტომ დავაჯილდოვეთ დღეს მანდატურის სამსახურის წარმატებული თანამშრომლები. მათ ნახაღისებას მომავალშიც გავაგრძელებთ. მომავალი წლიდან მანდატურები გაზრდილ ხელფასს მიიღებენ, გაუმჯობესდება მათი სამუშაო პირობები, რაც უსაფრთხო სკოლის გარემოზე აისახება“.

მანდატურები ზრუნავენ როგორც სკოლებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე, მოსწავლეების, პედაგოგებისა და სკოლის ადმინისტრაციისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნაზე, ასევე მოსწავლეთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე. ისინი ხელს უწყობენ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, პოზიტიური სასკოლო დისციპლინის ჩამოყალიბებას და ჯანსაღი ურთიერთობებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

ზურაბ ცხოვრებაძე, სკოლის მანდატური: „დღეს მნიშვნელოვანი დღეა მანდატურის სამსახურისთვის. მინისტრმა დააჯილდოვა 54 მანდატური, მათზე დაკისრებული უფლებამოსილების პირნათლად შესრულებისთვის. მსგავსი ღონისძიებები, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს მანდატურის მოტივაციის ზრდას და ეფექტიან მუშაობას სკოლებში.“

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის პირველი იანვრიდან მანდატურის სამსახურის თანამშრომლების ხელფასი 200 ლარით გაიზარდა. ამის შესახებ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ, **მარიამ ჯაშმა** 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისას ისაუბრა. მისივე თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტში განათლების სისტემის დაფინანსება 170 მილიონ ლარზე მეტით იზრდება.

„მანდატურის ხელფასის ზრდა მნიშვნელოვანია როგორც პროფესიული მოტივაციის ზრდისთვის, ასევე სკოლების მეტი უსაფრთხოებისთვის. 130 საჯარო სკოლაში, დამატებით, შეეძინა მანდატურები, საერთო ჯამში, მანდატურის სამსახური 588 სკოლაში იზრუნებს უსაფრთხოების დაცვაზე, – განაცხადა მარიამ ჯაშმა.“



განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ, ინკლუზიური განათლების დაფინანსების ზრდაზე საუბრისას, აღნიშნა, რომ დამატებითი სოციალური პაკეტით ისარგებლებენ პედაგოგები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მუშაობენ.

მოზარდთა მშობლობის მხარდაჭერი პროგრამების კვლევა

გაეროს ბავშვთა ფონდის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის მიერ განხორციელდა კვლევა „მოზარდთა მშობლობა და მოზარდთა მშობლობასთან დაკავშირებული პროგრამების შესახებ“. კვლევაში, გაეროს ბავშვთა ფონდის სხვადასხვა პროგრამების თანამშრომლებთან ერთად, მონაწილეობდნენ მოზარდთა განვითარებისა და მონაწილეობის საკითხებზე მომუშავე სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. კვლევა ჩატარდა 6 ქვეყანაში, მათ შორის ერთ-ერთი იყო საქართველო.

ცნობილია, რომ მშობლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ შვილების ემოციურ-კოგნიტიურ განვითარებასა და ქცევის ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, აღზრდის სტილი, რომელსაც ისინი მიმართავენ, დიდ გავლენას ახდენს ბავშვის იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რომელიც მათ მოზარდობის პერიოდის რთულ გზაზე სიძნელეებსა და მოთხოვნებთან გასამკლავებლად ესაჭიროებათ. მტკიცებულებების მიხედვით, მშობლები დიდ როლს თამაშობენ მოზარდების ღირებულებების ჩამოყალიბებაშიც, რადგან სწორედ ისინი უდგენენ ბავშვებს ნორმებსა და მოთხოვნებს აღზრდის პროცესში. ხშირად მშობლები აღზრდას აღიქვამენ, როგორც პროცესს, რომელიც თავისთავად წარმართება; მაგრამ მაშინაც კი, როდესაც აცნობიერებენ ინფორმაციის მიღების აუცილებლობას აღზრდის პოზიტიური მეთოდებისა და მხარდაჭერი პროგრამების სარგებლიანობის შესახებ, არცთუ დიდი არჩევანი სხვადასხვა ტიპის, მშობლის საჭიროებებზე მორგებული, პროგრამებისა თუ სერვისებისა, რომლებიც ყურადღებას მშობლებსა და მოზარდებს შორის ურთიერთობებსა და მათზე მოქმედ ფაქტორებზე ამახვილებს.

ფოკუსჯგუფები გაიმართა თბილისში, კახეთსა და აჭარაში მცხოვრებ მოზარდებთან (8 ფოკუსჯგუფი) და მოზარდების მშობლებთან/აღმზრდელებთან (8 ფოკუსჯგუფი). საველე სამუშაოებმა 2017 წლის 1 ოქტომბრიდან 2017 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი მოიცვა. მონაცემები დაამუშავა და გაანალიზა ადგილობრივმა მკვლევართა ჯგუფმა, რეგიონული საკონსულტაციო ჯგუფის

რეკომენდაციების მიხედვით.

კვლევის მიზანია საბაზისო ინფორმაციის მოპოვება:

- როგორ ესმით, როგორ აღიქვამენ და აღზრდის რა მეთოდებს მიმართავენ მოზარდი ბიჭებისა და გოგონების მშობლები/აღმზრდელები;
- რა გავლენას ახდენს ინდივიდუალური, ინტერპერსონალური და მაკრო ფაქტორები მშობლების აღზრდის მეთოდებსა და პრაქტიკებზე;
- ვის მიმართავენ მოზარდები და მათი მშობლები ფორმალური და არაფორმალური მხარდაჭერისთვის.

კვლევა გვიჩვენებს, რომ არ არსებობს უნივერსალური შეთანხმება ან სახელმძღვანელო იმის თაობაზე, თუ რა როლი და პასუხისმგებლობები უნდა ეკისრებოდეს ბავშვებსა და მშობლებს. თუმცა აშკარაა, რომ აღზრდის სტილს გენდერული თავისებურებებიც განსაზღვრავს და დედასა და მამას ოჯახში განსხვავებული როლი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ. მოზარდთა ნარატივიდან გამომდინარე, გაირკვა, რომ საოჯახო საქმეები დედის ფუნქციაა და საოჯახო მოვალეობის განაწილება ავტომატურად დედის საქმეების განაწილებას ნიშნავს, ხოლო მამის როლი იშვიათად თუ სცდება ოჯახის მარჩენადას. მოზარდების თქმით, ოჯახში ძირითადად დედა მთავარი „მენეჯერი“ და პასუხისმგებელი პირი და განაწილებული როლების და მოვალეობების მონიტორინგზე ის არის პასუხისმგებელი.

კვლევის შედეგების თანახმად, მშობლებს აქვთ მოლოდინი, რომ საოჯახო საქმეებზე პასუხისმგებლობა მოზარდებმაც უნდა გაინაწილონ, დანეყებული საოჯახო საქმეებით, დამთავრებული სამსახურში დასაქმებით. ზოგიერთი ოჯახი გოგონებს და ბიჭებს თანაბარ პასუხისმგებლობას აკისრებს, თუმცა გენდერული როლების ტრადიციული გადაწინაწინების მიხედვით, ბევრ ოჯახში მეტ პასუხისმგებლობას მოზარდ გოგონებს აკისრებენ. კვლევამ ასევე ცხადყო, რომ გოგონები, განსაკუთრებით კი შემდეგი მონაცვლადი ჯგუფებიდან – კანონთან კონფლიქტში მყოფი, სოფლად ან მარტოხელა მშობლებთან

მცხოვრები, სიღარიბეში მცხოვრები – ითვლებენ ფინანსურ პასუხისმგებლობასაც და ვალდებულებას, მოუარონ უმცროს/ასაკოვან ოჯახის წევრებსაც.

ამავდროულად, კვლევის მიხედვით, აღნიშნული პატრიარქალური გენდერული ნორმები თანდათან სუსტდება. ქალაქში მცხოვრები 14-17 წლის გოგონების ფოკუსჯგუფის მიხედვით, ასეთ შეხედულებებსა და პრაქტიკას ადგილი ჰქონდა „ძველად, როცა ბიჭებსა და გოგონებს განასხვავებდნენ. დღესდღეობით ორივე ქვეს ერთნაირად ეყვრობიან“. მშობელთა გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნა, რომ ისინი მოვალეობებს არ ანაწილებენ გენდერული ნიშნის მიხედვით. ამ მხრივ, საინტერესოა სოფელში მცხოვრები ერთ-ერთი დედის მიდგომა: „მე ერთნაირ მოვალეობას ვაკისრებ გოგოს და ბიჭს. მე სახლის დალაგებას, ჭურჭლის დარეცვას ვავალებ არა მარტო გოგოს, არამედ ბიჭსაც“.

ჩატარებული კვლევა ბევრ საინტერესო მიგნებასა და რეკომენდაციას მოიცავს.



პრეზენტაციას ესწრებოდნენ მანდატურის სამსახურის უფროსი **გელა გელაძე**, ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის უფროსი **თეონა ჩიტიაშვილი** და ამავე ცენტრის ფსიქოლოგი **სალომე კაკაბაძე**. ცენტრის ხელმძღვანელმა წარმოადგინა იმ სერვისების პრეზენტაცია, რომელსაც მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი სთავაზობს მოზარდებსა და მათ მშობლებს, საქართველოს მასშტაბით.

მომზადდა **ლალი თვალაპიოშვილმა**



2018 წელს:

დაიწყო მანდატურის სამსახურის რეფორმა

1300

საანაწინათაღმადგომლო დაწესებულების მანდატური

458


სააპრო სკოლაში უზრუნველყოფის საფორმალური მხარდაჭერისა და უსაფრთხოების დაცვას

#განათლება2018

სასკოლო აქტივობა

ROBERT BURNS – PERFORMANCE IN ONE OF THE PUBLIC SCHOOLS OF TBILISI, GEORGIA

Robert Burns was one of the greatest writers of the world and a patriot of his country. As an English language teacher I, Nana Kutateladze, think that pupils will gain a lot in any country by learning the biography and poetry of this distinguished writer. I have held regular performances with my pupils for many years (by the end of December) dedicated to Robert Burns in Tbilisi at public school №116. At the same time I would like to express my gratitude to my Scottish friend, Mrs. Frances McGowan from Braco as she has sent me many materials about Robert Burns and Scotland. We have been friends for nearly 25 years, though we have not met yet. We were the members of IPF, Ireland. On December 20, „A Red, Red Rose“ „My Heart is in the Highlands“ and other poems were recited by my pupils at the background of Scottish tunes and short video films. It was really great!



ლონისძიება



რობერტ ბერნსისადმი მიძღვნილი ლონისძიება ჩატარდა 20 დეკემბერს, თბილისის 116-ე საჯარო სკოლაში, მე-61 კლასის მოსწავლეების მონაწილეობით. ისინი დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ საინტერესო აქტივობას. შეისწავლეს საკმაოდ რთული, მე-18 საუკუნის ინგლისურენოვანი პოეზია, რაშიც მოსწავლეებს დიდი დახმარება გაუწია რობერტ ბერნსის ლექსების მოსმენის შესაძლებლობამ youtube-ზე. ლიტერატურული პრეზენტაცია მათ აქამდე არ განუხორციელებიათ და ემინოდათ საზოგადოების წინაშე გამოსვლის. შემოიძლია ვთქვა, რომ მოსწავლეებმა ყველა შიში დაძლიეს და ლონისძიებამ კარგად ჩაიარა. გვესწრებოდნენ 116-ე საჯარო სკოლის მასწავლებლები და ასევე, ნიკოლას მეჯიდი, ამერიკელი მასწავლებელი, რომელიც ჩვენს სკოლაში მოღვაწეობს და წარმოშობით ქართველია.

წარმოდგენა დაიწყო გიორგი ფეტვიანის გამოსვლით, რომელმაც მოკლედ ისაუბრა შოტლანდიის შესახებ და წაიკითხა რობერტ ბერნსის საკმაოდ რთული ლექსი „A man's A man for A' That“; შემდეგი იყო ანა ხურცილავა, რომელმაც დამსწრეებს რობერტ ბერნსის ბიოგრაფია გააცნო; ლუკა ჯონსონი შესანიშნავად წაიკითხა ბერნსის პატრიოტული ლექსი „My Heart is in the highlands“. ამ ლექსის ისე საუცხოოდ კითხულობს პრინცი ჩარლზი youtube-ზე, რომ ალბათ, ნებისმიერ მსახიობს შეშურდებოდა. გიორგი ხანდამაშვილმა წაიკითხა „The fall of the leaf“, ელენე ლაპიაშვილმა – „Song composed in August“, ანი ჯიქიძემ – „The winter of life“, ნიკოლოზ გაგნიძე-ხაჩიძემ – „My native land“. მინდა განსაკუთრებით გამოვყო ამ კლასის ერთი მოსწავლე, წაიკითხა ეგვიპტელი მაია აშმედ მოჰამედ ბუზიდი. მან წარმოადგინა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლექსი „A red, red rose“, რომელიც 1794 წელს დაინერა ხალხურ მოტივებზე. ამ გოგონამ კარგად ისწავლა ქართული და მაქსიმალურად ცდილობს, ითანამშრომლოს სხვა ბავშვებთან.




რობერტ ბერნსის მოკლე ბიოგრაფია

რობერტ ბერნსი მე-18 საუკუნის შოტლანდიის ეროვნული გმირი და ცნობილი მწერალია, რომლის დაბადების დღეს, 25 იანვარს, აღნიშნავენ არა მარტო შოტლანდიაში, არამედ მთელ მსოფლიოში, აშშ-ს, ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთის, კანადის და მრავალი სხვა ქვეყნის ჩათვლით. შოტლანდიელები დღესაც მოიხსენიებენ მას, როგორც „შოტლანდიის საყვარელ შვილს“.

რობერტ ბერნსი დაიბადა 1759 წლის 2 იანვარს შოტლანდიის პატარა დაბა ალოუეში. მისი მშობლები ღარიბი გლეხები იყვნენ. მომავალი პოეტი მათთან ერთად შრომობდა. რობერტ ბერნსი პატარაობიდანვე წერდა ლექსებს. 1786 წელს გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული: „პოემები, უმეტესად შოტლანდიურ დიალექტზე“. მალე სხვა წიგნებიც დაიბეჭდა და რობერტ ბერნსმა მთელ შოტლანდიაში გაითქვა სახელი. მას ჰყავდა მეუღლე და ხუთი შვილი.

დიდი პოეტი გარდაიცვალა 1796 წლის 21 ივლისს დამფრისში, 37 წლის ასაკში. საინტერესო ფაქტია, რომ ბერნსის გასვენების დღეს დაიბადა მისი ერთ-ერთი შვილი. რობერტ ბერნსის გარდაცვალების მიზეზად ასეთ ნაადრევ ასაკში ექიმების მიერ მისთვის გამოწერილი ცივი აბაზანები მიაჩნიათ (რობერტ ბერნსი რევმატიზმით იყო დაავადებული).



რობერტ ბერნსის უამოქმედება

რობერტ ბერნსმა არაერთი შესანიშნავი ლექსი დაწერა: „My heart is in the highlands“, „A red, red rose“, „To a mouse“ და ა.შ. ის ძალიან შეუყვარდა შოტლანდიელ ხალხს, რადგან მათთვის გასაგებ ენაზე წერდა მათივე პრობლემების შესახებ. რობერტ ბერნსის აზრით, უბრალო, ღარიბი ადამიანები, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ აკლიათ ყოველდღიურ ცხოვრებაში: საჭმელი, სასმელი, ტანსაცმელი და ა.შ., უფრო ღირსეულები და გონიერები არიან, ვიდრე მდიდარი, ამპარტყავანი დიდკაცები. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა მისი ერთ-ერთი ლექსი – „A man's A' man for A' That“ – რომელიც ქართულ ენაზე თარგმნა თამარ ერისთავმა: „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“, და რომელიც საქართველოშიც ძალიან პოპულარულია, მაგრამ ცოტაოდენმა თუ იცის, რომ რობერტ ბერნსს ეკუთვნის. მისი პოეზია რეპის სტილშიც სრულდება შოტლანდიაში და ის რეპის ფუძემდებლად ითვლება.



„ბერნსის ღამე“

ბევრი ადამიანი აღნიშნავს „ბერნსის ღამეს“ 25 იანვარს როგორც შოტლანდიაში, ასევე მთელ მსოფლიოში. ის შეიძლება იყოს ფორმალური ან არაფორმალური. ფორმალური ზეიმი გულისხმობს სადღეგრძელოების წარმოქმნას და რობერტ ბერნსის პოეზიის წაკითხვას. საღამოს კულმინაციაა შოტლანდიური კერძის „Haggies“-ის შემოტანა დიდი თევზით, სტვირის თანხლებით (შოტლანდიის ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც, გადმოცემით, წარმოშობით ქართულია). მასპინძელი კითხულობს რობერტ ბერნსის ოდას, რომელიც პოეტმა ამ კერძს მიუძღვნა „Address to a Haggis“, შემდეგ ის იჭრება და საზოგადოება განაგრძობს ზეიმს. ბერნსის ღამეს შოტლანდიელები ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილები ზეიმობენ, კაცებს აცვიათ კილტები, ქალებს – კუბოკრული ნაჭრის კაბები, ქვედაბოლოები (ყველა ოჯახს თავისი საკუთარი შეფერილობის კუბოკრული ნაჭერი აქვს). შოტლანდიის დროშები გამოაქვთ წმ. ენდრიუს გამოსახულებით და რობერტ ბერნსის სიმღერას ასრულებენ „Auld Lang Syne“ რომელიც, ახალი წლის ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენს მთელ მსოფლიოში. მრავალი სხვადასხვა კერძი არის ასოცირებული „ბერნსის ღამესთან“, კერძოდ: cock-a-leekie soup (წინილა და პრასის წვნიანი); haggis; neeps (ჭარხლის პიურე), tatties (კარტოფლის პიურე), bannocks (პურის სახეობა) და ვისკი (შოტლანდიელების ტრადიციული სასმელი).

დაბოლოს

დასკვნის სახით მსურს ვითხრათ, რომ მრავალი წელია, ჩემს მოსწავლეებს ვაცნობ ინგლისურენოვანი მწერლების შემოქმედებას და ბიოგრაფიულ მონაცემებს. ჩვენ არაერთი ლიტერატურული პროექტი განვახორციელებთ. იმის გამო, რომ სასკოლო პროგრამა, სამწუხაროდ, არ შეიცავს ცნობილი მწერლების ბიოგრაფიებს და ნაწარმოებებს, ვცდილობ, ეს დანაკლისი გამოვასწორო და მოსწავლეებს გაეცნო მსოფლიო ლიტერატურის შედეგები (მაგ. სერ არტურ კონან დოილი, ო'ჰენრი, უ. შექსპირი, რ. თავორი და ა.შ.). ეს ანეითარებს მათ შემოქმედებით და აზროვნების უნარებს (რადგან დეტალურად განვიხილავთ აღნიშნული მწერლების ნაწარმოებებს), გამოვუმუშავებთ პრეზენტაციის უნარს. გარდა ამისა, ისეთი პატრიოტი მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების გაცნობა, როგორც რობერტ ბერნსია, ღირსეულ პიროვნებად აღზრდის საქმეს შეუწყობს ხელს. მსგავსი პროექტების განხორციელება სასარგებლო იყო მოსწავლეებისთვის, რადგან ბავშვებმა დაძლიეს შიში, სიზარმაცე და შესანიშნავად გაართვეს თავი არცთუ ისე მარტივ დავალებას. იმედია, მომავალში კიდევ უფრო საინტერესო და შემეცნებით ღონისძიებებს მოვანწყობთ.

ნანა ქუთათელაძე
თბილისის 116-ე საჯარო სკოლის
ინგლისური ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

სამოქალაქო ინტეგრაცია

მინდა, სამშობლოს – საქართველოს და მშობლიურ სოფელს გამოვადგე

მანა ყიფიანი

სოფელ ყარაჯალის საჯარო სკოლა თელავის რაიონის ერთ-ერთი ყველაზე დიდკონტინგენტიანი სკოლაა, სადაც სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. სკოლაში ქართული ენის სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. პირველ კლასში მოსული მოსწავლეები ქართულ ენას საერთოდ ვერ ფლობენ, მაგრამ სასწავლო წლის დასრულებისას ქართულ ენაზე საუბარი შეუძლიათ. პროგრესი, წარსულთან შედარებით, ძალიან დიდია – ყოველწლიურად 11-16 აბიტურენტი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი ხდება. თუმცა ამას ვერ ვიტყვით წლებადღებულ წელზე. ყარაჯალაში წელს სკოლა, 19 მოსწავლიდან, 18-მა დაამთავრა, ერთი შეუფასებელი დარჩა, გამოცდამდე ვერ მივიდა; კიდევ ერთი მოსწავლე, საპატიო მიზეზის გამო, გამოცდაზე არ გამოცხადდა. 17-დან ერთი ქართულში ჩაიჭრა, დანარჩენები – სხვადასხვა საგანში, უმეტესობამ ბარიერი ფიზიკაში ვერ გადალახა.

ამ პრობლემის შესახებ ყარაჯალის საჯარო სკოლის დირექტორი ელზა ამიროვა გვიამბობს: „ჩვენი სოფელი აზერბაიჯანელებითაა დასახლებული და, შესაბამისად, სკოლაშიც აზერბაიჯანულენოვანი მოსწავლეები სწავლობენ. მართალია, სკოლა ქართულენოვანია, თუმცა ენობრივი ბარიერი ძალიან დიდია, რადგან მოსწავლეების მშობლებმა ქართული არ იციან, რის გამოც შეიძლება გაკვეთილების მომზადებაში ვერ ეხმარებიან. სამწუხაროდ, მომავალ წელსაც არ გვექნება ეს პროგრესი. მიზეზი ის არის, რომ ოჯახებს სათანადო მოტივაცია არ აქვთ. ამ ეტაპზე, მოსწავლეთა კონტინგენტი, თითქმის სრულად, ასეთი ოჯახებიდანაა. მათთვის მთავარია, ბავშვმა სკოლა დაამთავროს, იცოდეს წერა-კითხვა და ქართულად საუბარი. სამწუხაროდ, უმრავლესობა ასე აზროვნებს. მეორე პრობლემა ის არის, რომ ჩვენს სკოლაშიც, ისე როგორც ქვეყნის მასშტაბით, არასთანადოდ ისწავლება საბუნებისმეტყველო საგნები, განსაკუთრებით ფიზიკა. საატესტატო გამოცდებზე, მოსწავლეებმა, სწორედ ფიზიკის საგანში ვერ გადალახეს ბარიერი“.

საბედნიეროდ, არიან გამონაკლისებიც, რომლებიც ასე არ ფიქრობენ და სწავლას პროფესიულ სასწავლებელში ან უმაღლესშიც აგრძელებენ. ყარაჯალის სკოლიდან წელს 4 მოსწავლე ჩაირიცხა კოლეჯში, წლებადღეული კურსდამთავრებულებიდან კი თამილა ყურბანოვა იყო ატესტატი და თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ამჟამად ქართულ ენაში მოზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლობს.

თამილა ყარაჯალის სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებულია. ქართული ანბანი სკოლაში შესწავლამდე დედამ სახ-

ლში შეასწავლა, ბევრ ქართულ ზღაპართან და ლექსთან ერთად. სკოლაში სწავლის პერიოდში ძალიან აქტიური და გამორჩეული მოსწავლე იყო. მონაწილეობდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებებში. სკოლაში ქართული ხალხური ცეკვის წრეზეც დადიოდა, ამიტომ ქართული ცეკვის უბადლო შემსრულებელია. მან ბევრ წარმატებას მიაღწია სხვადასხვა სახის პროექტსა თუ კონკურსში. მადლიერია საკუთარი ოჯახის და მშობლიური სკოლის: „ჩემს წარმატებაში მშობლიურ სკოლას, დირექტორს – ელზა ამიროვას და ოჯახს დიდი წვლილი მიუძღვით. ისინი ყველანაირად მიწყობდნენ ხელს, რათა სწავლა უმაღლესში გამეგრძელებინა“. – ამბობს თამილა.

ყარაჯალის საჯარო სკოლის დირექტორი ელზა ამიროვა ყოფილ მოსწავლეს ასე ახასიათებს: „თამილამ სკოლა წარმატებით დაამთავრა, ის აქტიური მოქალაქეცაა. სკოლის პერიოდში თითქმის ყველა სასკოლო აქტივობაში, კონკურსში, პროექტში მასტიმალურად იყო ჩართული და სათანადო მიღწევებიც ჰქონდა. მას მთელი სკოლა და სოფელი დიდ პატივს სცემს. თამილა პოზიტიური გოგონაა, თანამედროვედ აზროვნებს, ისე როგორც შეეფერება 21-ე საუკუნის მოქალაქეს, აცნობიერებს დემოკრატიულ ღირებულებებს. ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ახალგაზრდებზე დიდ გავლენას ახდენს ოჯახური წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, რომელსაც თამილაც იცავს, მაგრამ ზომიერების ფარგლებში. ძალიან მახარებს მისი პოზიცია. მჯერა, თავისი შრომით და მიზანდასახულობით, ძალიან ბევრს მიაღწევს და მომავალშიც ასახელებს მშობლიურ სკოლას. მინდა მას წარმატებები ვუსურვო“.

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მოზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე „1+4“ თამილა 4 სტუდენტთან ერთად სწავლობს. თამილა და ფოლადი ყარაჯალიდან არიან, არზუ და ემგინი ლაგოდეხის სოფელ კაბლიდან, ელტაჯი მარნეულის რაიონიდანაა. პროგრამა ეთნიკური უმცირესობებისთვის უმაღლესი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით ამოქმედდა. ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართულ ენაში მოზადების საგანმანათლებლო პროგრამას ინდივიდუალური პროგრამით ახორციელებს, რაც დამატებით მოტივაციას სძენს აბიტურიენტებს, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძონ სწავლა: „სასიხარულოა, რომ სკოლაში ქართულ ენაზე სწავლების დამკვიდრებამ განაპირობა სტუდენტთა რაოდენობის ზრდა როგორც თელავის, ასევე თბილისის უნივერსიტეტებში. ამას ხელს უწყობს ქართულ ენაში მოზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამაც, რაც აბიტურიენტს შესაძლებლობას აძლევს, მომავალ წელს ერთი გამოცდის ჩაბარებით ჩაირიცხოს უნივერსიტეტში. ერთწლიანი პროგრამის გავლის შემდგომ სტუდენტთა გარკვეული



თამილა ყურბანოვა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი

რაოდენობა რომ ვეღარ გადადის მომდევნო დონეზე, ამის მიზეზი ალბათ ენის სრულყოფილად არცოდნაა, თუმცა აღნიშნული პრობლემა ჩემს თანასოფელ სტუდენტებს არ ჰქონიათ. რეალურად, პროგრამა სტუდენტებს ამზადებს როგორც ენობრივი, ასევე ინტეგრაციის თვალსაზრისით. ძალიან კმაყოფილი ვარ ლექტორების, ადმინისტრაციის, ასევე ჩემი თანატოლი სტუდენტების“ – ამბობს თამილა.

თამილა, რომ მისი მომავალი წარმატება ქართული ენის ცოდნაზეა დამოკიდებული. ამბობს, რომ საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა. ეს არა მხოლოდ სავალდებულო, არამედ მოქალაქისთვის აუცილებელი და საჭიროა: „ჩვენ საქართველოს მოქალაქეები ვართ. სახელმწიფო ენა ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს. ენის არცოდნით ბევრ პრობლემას წააწყდება ნებისმიერი ადამიანი და თავს ქვეყნისგან ცალკე, განდევნილად იგრძნობს, რისი გამოცდილებაც წინა წლებიდან მრავლად ახსოვს სოფელს“.

გოგონების ადრეულ ასაკში გათხოვება საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებში ტრადიციაა. თუმცა, როგორც თამილამ გვითხრა, ადრეული ქორწინება კატეგორიულად მიუღებელია მისთვის. სასიხარულოა, რომ ბოლო წლებში საგრძობლად იკლო მსგავსმა ფაქტებმა. თუმცა, ჯერ კიდევ მაღალია გოგონების მიერ სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი. 2011-2012 წლებში, ყარაჯალის სკოლაში, სწავლა ათმა გოგონამ შეწყვიტა; 2012-2013 წლებში – რვა გოგონამ; 2013-2014 წლებში – სამმა; 2014-2015 წლებში – ხუთმა; 2015-2016 წლებში – ექვსმა გოგონამ, 2016-2017 წლებში – შვიდმა; ხოლო 2017-2018 წლებში – ხუთმა გოგონამ. სწავლის შეწყვეტის ძირითადი მიზეზი ადრეულ ასაკში დანიშნვა ან გათხოვებაა. ყარაჯალაში ისეთი შემთხვევებიც არის, როცა გოგონა 9 კლასამდე ან 9 კლასის შემდეგ სწავლას იმეტოწყვეტს, რომ მშობლები სკოლაში აღარ უშვებენ.

სამომავლოდ, პროგრამის „1+4“ დამთავრების შემდეგ, თამილა სწავლის გაგრძელებას თბილისში ან ისევ თელავში აპირებს. ოცნებობს გამოვიდეს კარგი სამართალმცოდნე, რათა მის სამშობლოს – საქართველოს და მშობლიურ სოფელს გამოადგეს.

ინფორმაცია

საერთაშორისო განათლების მიღების შესაძლებლობა

გაიმართა განათლების საერთაშორისო ცენტრის 2018 წლის შემჯავამებელი ღონისძიება, რომელზეც ცენტრის დირექტორმა, ნინო ჭელიძემ დამსრე საზოგადოებას მიმდინარე და ახალი სასტიპენდიო სქემების, საუნივერსიტეტო მხარდაჭერის პროგრამისა და ცენტრის საქმიანობის ახალი პერსპექტივების შესახებ წარუდგინა ანგარიში და ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

მისი ინფორმაციით, 2018 წელს განათლების საერთაშორისო ცენტრმა 9 პროგრამა განახორციელა, გაიცა 191 სტიპენდია, სახელმწიფო ბენეფიციართა საზღვარგარეთ სწავლა 6 494 000 ლარით დააფინანსა. 2018 წელს, ქვეყანაში დაბრუნებულ კურსდამთავრებულთა ინიციატივით, შეიქმნა „ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაცია“, რომელიც მიზნად ასოციაციის წევრთა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობას და პროფესიულ განვითარებას ისახავს.

შემჯავამებელ ღონისძიებას ესწრებოდნენ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, მიხეილ ბატიაშვილი და საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში.

მიხეილ ბატიაშვილმა ცენტრის ერთი წლის საქმიანობა წარმატებულად შეაფასა და თანამშრომლებს ნაყოფიერი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა. მან ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელობაზეც ისაუბრა და ახალგაზრდებს ასე მიმართა: „მართლაც შთამბეჭდავი ციფრებია – დაფინანსებულია 650-მდე სტუდენტი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცათ მსოფლიოს ნამყვან უნივერსიტეტებში ისწავლონ. მნიშვნელოვანია პროგრამების მრავალფეროვნებაც, რომლებიც თითქმის ყველა მიმართულებას მოიცავს. ყოველწლიურად, კიდევ უფრო გაიზრდება ახალგაზრდების დაფინანსება, რადგან თქვენ ის მომავალი ხართ, რომელმაც ჩვენი ქვეყნის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი უნდა ითამაშოს. თქვენ ყველაზე კარგად იცით განათლების ფასი და სწორედ თქვენ უნდა გახდეთ თანამონაწილე იმ ძირეული რეფორმისა, რასაც ასე საჭიროებს განათლების სისტემა“.

მარიამ ჯაშმა მადლობა გადაუხადა ცენტრის ხელმძღვანელობას წარმატებული მუშაობისთვის და კომიტეტის მხრიდან სრული მხარდაჭერა აღუთქვა: „ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მასტიმალურად მეტი ფინანსური რესურსის მოპოვებისთვის“.

ვის, რომ კიდევ უფრო მეტ სტუდენტს მიეცეს საერთაშორისო განათლების მიღების საშუალება“.

ღონისძიების დასასრულს, კურსდამთავრებულთა პანელის ფორმატში, ცენტრის ათამდე ბენეფიციარმა საზოგადოებას საკუთარი გამოცდილება, ხედვა და სამომავლო გეგმები გაუზიარა.

დაარსების დღიდან, ცენტრმა საზღვარგარეთ სწავლის მსურველი საქართველოს მოქალაქეებისთვის 650-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გასცა. მნიშვნელოვანია, რომ 2019 წელს ცენტრი, დამატებით, ორ საერთაშორისო სასტიპენდიო პროგრამას გამოაცხადებს, რომლებიც „იტალიის რექტორთა საბჭოსა“ და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ ან ნაწილობრივი თანადაფინანსებით განხორციელდება.

საპილოტე პროგრამების ხარჯზე ცენტრს 20-მდე სტიპენდიატი დაემატება. ასევე, საქართველოში არსებულ ბიზნესთან თანამშრომლობით, ბიზნესის ადმინისტრირების დარგში, იგეგმება ახალი სასტიპენდიო სქემის გამოცხადება, სადაც სამაგისტრო ხარისხის მოსაპოვებლად და პროფესიული გადამზადებისთვის 5-10 სტიპენდია გაიცემა.



გამოსვლილება

როგორ დავაფიქროთ ბავშვები საქუთარ ქსევაზე

ჩვენ, დანაწევრებული კლასის პედაგოგები, მუდმივად ვზრუნავთ, სკოლაში მოსვლის პირველივე დღეებიდანვე დავეხმაროთ ბავშვებს მართონ საკუთარი ქცევა. ამისათვის ერთობლივად ვაძვინტერესებთ ქცევის წესებს, ვამოწმებთ რამდენად ვიცავთ მათ, ვახალი-სებთ ე.წ. ბეჯით და წესრიგის დამცველ მოსწავლეებს და ვცდილობთ მოტივაცია შევუქმნათ დანარჩენებსაც. მიუხედავად ასეთი ღონისძიებებისა, ყველაფრის 100%-იანად დაძლევა შეუძლებელია, მით უმეტეს კლასში, სადაც 25 და მეტი მოსწავლეა.

მოსწავლეების ქცევაზე მუდმივად გვიწევს პედაგოგებს ფიქრი და სიახლეების ძიება... მინდა ვაგვიზიაროთ ერთი აქტივობა, რომელიც ჩემს კლასში განვხორციელებდი და გარკვეული შედეგი მაჩვენებდა კიდეც.

ვთხოვე პირველკლასელებს, მოეტანათ მათი ყველაზე საყვარელი სათამაშო ან ნივთი, რომელთანაც ყველაზე მეტ დროს ატარებდნენ. როგორც კი ვახსენე სათამაშო, ცოტა შეცბნენ, დაიბნენ – სად სკოლა და სად სათამაშო? შევატყვე, როგორი ეჭვის თვალე-ბით მიყურებდნენ, ვერ აკავშირებდნენ ერთ-მანეთთან ამ ორ ცნებას.

მთორე დღეს, ყველა სათამაშოთი გამოცხადდა. უნდა გენახათ მათი გაბრწყინებული თვალები. იყვნენ საოცრად ორგანიზებული. ვთხოვე, თითოეულ მათგანს წარედგინა თავისი სათამაშო. დიდი სიამოვნებით ყვებოდნენ, თუ როგორ ერთობოდნენ მათთან თამაშით, რომ ყველა სურვილს უსიტყვოდ უსრულდებდნენ და ემოციურდებოდნენ, საიდუმლოებასაც კი უყვებოდნენ, მათთან ერთად იძინებდნენ და იღვიძებდნენ. შემდეგ, ვთხოვე, ახლა თქვენი სათამაშოები ალაპარაკეთ თქვენზე, როგორ უყვით, როგორ ეთამაშებით, როგორ ანებივრებთ-მეთქი, იმ წუთში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გაუბედვრად დაიწყეს საუბარი, გაუჭირდათ. მხოლოდ ერთეულებმა გაბედეს. ზოგმა აღიარა, რომ არ უყვლიდა, ეჩხუბებოდა, როგორც ოჯახის წევრები სჯიდნენ მათ, ისინიც იმავე მეთოდებით უსწორდებოდნენ საყვარელ სათამაშოებს. ამის აღიარებამ ბავშვები ცოტა დაძაბა

და საკუთარ ქცევაზე დააფიქრა; აღიარეს, რომ მსგავს რამეზე არ დაფიქრებულან და არასდროს გასჩენიათ მათდამი სიბრალულის გრძნობა. სხვა თვალთ შეხედეს საკუთარ თავს და თავადვე გამოიტანეს დასკვნები.

იმ მომენტში ჩემი რჩევები და მითითებები სრულიად ზედმეტი იყო. შევთანხმდით, რომ რამდენიმე კვირაში ისევ გავიმეორებდით იმავე აქტივობას. მართლაც, ორი კვირის შემდეგ, ისევ ჩავატარე იგივე აქტივობა. ვერ წარმოიდგენთ, როგორი კმაყოფილები იყვნენ. ბევრმა აღმოაჩინა, რომ იმ დღის შემდეგ ცდილობს, თამაშის დროს, სიფრთხილე და ყურადღება გამოიჩინოს არა მარტო სათამაშოების მიმართ, არამედ თანატოლებთან ურთიერთობაშიც კი. ისწავლეს თავიანთი ნივთების მოვლა-მონესრიგება. ამას უკვე მეც ვამჩნევ კლასში, ამას აღნიშნავენ მშობლებიც.

ასევე საინტერესო და ეფექტური იყო, როდესაც მოსწავლეებს ვთხოვე თვალყური ედევნებინათ გვერდით მჯდომი თანაკლასელების, ერთი კვირის განმავლობაში, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე დასვენებაზე. ეწარმოებინათ ჩანაწერები, რა მოსწონდათ მისი ქცევიდან, რის გამოსწორებას ურჩევდნენ. დაკვირვების დროს საკუთარ ქცევასთანაც ავლებდნენ პარალელს. ამის შემდეგ თავად უფრო მეტად ორგანიზებული და მონესრიგებული გახდნენ. თანატოლისგან მიღებული რჩევები მათთვის უფრო მეტად მისაღები და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. პერიოდულად ვთხოვდი, განეხირონ ცილებინათ ასეთი დაკვირვება – შუალედური შედეგები პირვანდელ მონაცემებთან შეედარებინათ. თითოეულ ამჩნევდნენ, რომ მათი ქცევა შედარებით პოზიტიური გახდა. ერთმანეთს ახალისებდნენ ე.წ. სტიკერებით და ეს ერთგვარ სტიმულს აძლევდა მათ.

მსგავსი ტიპის აქტივობები მართლაც ეფექტური აღმოჩნდა ჩემი კლასისთვის. ასე რომ, ვფიქრობ, ჩემი გამოცდილება თქვენც გამოგადგებათ, ჩემი კოლეგებო.

თამარ მგალობლიშვილი
თბილისის №182 საჯარო სკოლის
დანაწევრებული კლასის პედაგოგი

საერთაშორისო ფორუმი

საქართველოს ახალგაზრდული ორბანიზაციების ფორუმი



21 დეკემბერს, მულტიფუნქციურ კულტურულ ცენტრში FABRIKA/ფაბრიკა, საქართველოს ახალგაზრდული ორბანიზაციების რიგით IX საერთაშორისო ფორუმში გაიმართა. ღონისძიება გახსნეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნათია ზედგინიძემ და საქართველოში გაეროს მუდმივი კოორდინატორმა, ლუიზა ვინტონმა.

მინისტრის მოადგილის თქმით: „განათლების სამინისტრო კარგად აცნობიერებს ახალგაზრდობის მნიშვნელობას ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის და მზად არის, აქტიურად ჩაერთოს ახალგაზრდობის არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გადაჭრის პროცესში. აღსანიშნავია ისიც, რომ მთავრობის პრიორიტეტს სწორედ ახალგაზრდული მიმართულებების განვითარება წარმოადგენს მთელი ქვეყნის მასშტაბით. მნიშვნელოვანია ახალგაზრდა თაობაში სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება და მათი კომპეტენციების გაზრდა.“

ახალგაზრდული ორბანიზაციების რიგით IX ფორუმში მონაწილეობდნენ: საქართველოში მოქმედი ახალგაზრდული არასამ-

თავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელი სამთავრობო უწყებები და ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა ფორმით არიან ჩართული ახალგაზრდულ საკითხებზე მუშაობაში. ფორუმში, ასევე, მონაწილეობდნენ ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების მიმართულებით მომუშავე ექსპერტები.

ახალგაზრდული ორბანიზაციების ფორუმის შედეგებზე დაყრდნობით, მოგვიანებით, შემუშავდება დოკუმენტი, რომელიც აისახება მოსაზრებები ახალგაზრდული სფეროს განვითარების ხელშესახებად.

საქართველოს ახალგაზრდული ორბანიზაციების მე-9 ფორუმის მიზანია სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებს შორის კონსტრუქციული დიალოგის ხელშეწყობა და მონაწილე ორბანიზაციებისათვის ინფორმაციის მიწოდება, ახალგაზრდულ სფეროში არსებული პროცესებისა და გამოწვევების შესახებ.

საქართველოს ახალგაზრდული ორბანიზაციების ფორუმი, 2007 წლიდან, UNFPA, UNICEF-სა და UNIDO-ს მხარდაჭერითა და საქართველოში მოქმედი ახალგაზრდული ორბანიზაციების ინიციატივით, ხორციელდება.

ინფორმაცია

წლის წარმატებული გამოსვლილება

ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრში საჯარო სკოლების წარმომადგენლებთან შეხვედრები რეგულარულ ხასიათს ატარებს. ესაა: კონსულტაციები კათედრებთან, პედაგოგებთან, დირექციების წარმომადგენლებთან, კონკურსებსა თუ პროგრამებში მონაწილეობის დაგეგმვა, ტრენინგების ორგანიზება, ეროვნული სასწავლო გეგმის, მასწავლებლის საქმიანობის დანაწევრების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის სიახლეების გაცნობა, სხვადასხვა თვალსაჩინოების, ლიტერატურისა და მასალების გადაცემა...

გამორჩეული იყო 7 დეკემბერს რესურსცენტრში გამართული შეხვედრა თემაზე: „ერთი წარმატებული გამოცდილება“. 15 საჯარო სკოლის მასწავლებლებმა წლის განმავლობაში განხორციელებული თითო წარმატებული პროექტი წარმოადგინეს.

სადავო არაა, რომ სკოლაში უდიდესი როლი მასწავლებელს ენიჭება. აქტიური, კრეატიული მასწავლებელი თავადაც ვითარდება და სტიმულს აძლევს კოლეგების წინსვლასაც. ამის დასტური იყო პრეზენტაციები: „ისწავლე და ასწავლე“ – ზეინაბ ივანიძე, ანუციტის საჯარო სკოლა; „როგორ გავხდი აქტიური მოქალაქე“ – შორენა ხიზაძე, „ხელოვნების სახელოსნო“ – რევაზ გვირგვინი, რუსთავის საჯარო სკო-

ლა; „პროექტი, რომელმაც წარმატება მოგვიტანა“ – ხათუნა მიქელაძე, ოპორის საჯარო სკოლა; „როგორ გავხდით საქართველოს ჩემპიონები“ – მამუკა ნადირაძე, ტოლოშის საჯარო სკოლა; „მასწავლებლის პირადი წარმატება“ – ასმათ ხაზალაშვილი, ხიზაბაგროს საჯარო სკოლა, მაყვალა ასპანიძე, ნიჯგორის საჯარო სკოლა; „ასე შევიყვარეთ კითხვა“ – მია სუარიძე, დაბა ასპინძის საჯარო სკოლა; „სპორტი – ბარიერების გარეშე“ – მადგარ ჯვარიძე, ჭობარეთის საჯარო სკოლა, თემურ ბერიძე, ნაქალაქევის საჯარო სკოლა, თემურ ლონდარიძე, ხერთვისის საჯარო სკოლა; „სიყვარულია მთავარი“ – ნანა შავაძე, ივერიის საჯარო სკოლა; „სახელმწიფო ენის სწავლება არაქართულ სკოლაში“ – ნათია ზედგინიძე-სოლოიანი, დამალის საჯარო სკოლა; „პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა“ – ეთერ გაჩეჩილაძე, იდუმალის საჯარო სკოლა.

თითოეული მონაწილის გამოხატული მასწავლებელი მნიშვნელოვანი სიახლის შემცველი იყო, დატვირთული მონაწილეთა კითხვებით, კომენტარებით, შეფასებებით.

შთამბეჭდავი შეხვედრა იყო, ბევრი რამ ახლებურად დავინახეთ, მოვიწინეთ კიდეც რა უნდა გავაკეთოთ მომავალში. სხვადასხვა საგნის პედაგოგების ასეთი საქმიანი კონტაქ-



ტები, გამოცდილების გაზიარება ნამდვილად საჭიროა და სასარგებლოა თითოეული ჩვენგანისთვის. არანაკლებ მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა პედაგოგის შრომის აღიარებაც, როგორც მომავალი წარმატების წინაპირობა. კარგი ჩანაფიქრია. ვვლით ახალ შეხვედრებს წარმატებული გამოცდილებებით – აღნიშნეს შეხვედრის მონაწილეებმა.

ტრისტან მურადაშვილი
ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი



მოსწავლა უამოქმადი

ბთავაზოთ თბილისის №42 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ნაშუაგვრებს (კელაგობი – ნინო ნასყიდაშვილი)



მარიამ ვასტანაბიძევილი მე-11 კლასი

ქარის მოტანილს როცა ისევ ქარი წაიღებს, შორს გაფრინდება და გაქრება ჩვენი ოცნება და ჩვენ დაგვრჩება მოსაგონრად მხოლოდ წარსული და ამ წარსულის მოგონებას ცრემლები ახლავს. ცრემლები მწარე – გულის დარდით შეჯერებული.

„ქარი არღვევდა ღუმლის ფარდას“

ქარი ადამიანივითაა... დიახ, სწორედაც რომ... ის გაუნწონასწორებელია. როდესაც კარგ ხასიათზეა, ნაზად გვეამბორება, თბილად ჩაგვჩურჩულებს და მოქარვისფრო ანგელოზად მოაქვს თავი. ზოგჯერ კი – შემზარავი და ფიცხია; ცეცხლისფერი თვალებით შემოგვეყურებს, მოეშაკისფრო ხელებს აქეთ-იქით იქნევს და ყველაფერს ანადგურებს.

დღესაც ცუდად გრძნობს თავს; აბობოქრებულია, თავს ვერ აკონტროლებს... ჩემთვის კი სიკვდილის ტრიადაა... ბავშვობიდან მეშინია ამგვარი პარადოქსული ხმების.

ახლა ღამეა, ყველაფერი შავად არის შეღებილი. სიშავეს ვგრძნობ და მტკიავს... სკამს მივეჯაჭვე... უბრალოდ ვზივარ და სიბნელეში ჰორიზონტის დანახვას ვცდილობ. მექანიკური კაცუნა ვარ, რომელსაც ერთადერთი ბრძანება აქვს შესასრულებელი – ადგილზე დარჩენა. მექანიკური ობობა აბლაბუდებით ამკობს ჩემს სხეულს. ის კიდევ უფრო მამძიმებს და ფსკერამდე მძირავს. მეშინია, რადგან მხოლოდ მინის საფარველი მაშორებს ქარის სამფლობელოს... ხეები მის ტალღებთან ერთად შრიალებენ, ჩემამდე კი ზუზუნი აღწევს... თავისი კლანჭებით მაცოცდება, სულ უფრო და უფრო უახლოვდება გულს და სუნთქვას მინელებს. ქარი არღვევს ღუმის, თავხედურად ფანტავს ყვითელ ჰაერში. ყურში რაღაცას ჩამყვინის, სიტყვებს ვერ ვარჩევ, თუმცა ვგრძნობ, რომ დამცინის, რაღაცას მსაყვედურობს... მის გვერდით უსუსური ვარ... მისი მეშინია... მკლავს იმის შეგრძნება, რომ ვერაფერს ვცვლი... ამ დღის შემდეგ როგორღა შევძლებ მასთან მეგობრობას...



თიკელ მუსარიძე მე-9 კლასი

სიმშვიდე

რაღაც აკაკუნებს ფანჯარაზე, ალბათ, ყვავია. გარეთ ისევ ბარდნის. ხელები მომხვია, ცდილობს გამათბოს, გატრუნულნი ვართ. სევდა გვანვიმს... ქაოსი გვათოვს... გარეთ ქარი ჩადგა, ჩვენ მაინც გვცვივა... დებიუსი უკრავს ჩვენს თავებში. სიჩუმეა, სიმშვიდე არა...

ისევ თოვლი აკაკუნებს გონების პიანოლაზე... ნაბიჯები აღარ უკრავენ, უბრალოდ ხრამუნებენ... თენდება, მაგრამ ზანტად, უსახურად, უხალისოდ... ყოველთვის მეკითხებოდა, რატომ მიყვარს ასე ადრე გაღვიძება... მეც ყოველთვის ვპასუხობდი: მომწონს მზისა და მთვარის ერთ ჰორიზონტზე მზერა... მომწონს, როგორ კედება, იწვის და იდაგება მთვარე მზის სიყვარულით და იმისათვის, რომ მან იბრწყვილოს, დროებით ესალმება მუქ-ლურჯ სიცოცხლეს. მიყვარს... უბ-

რალოდ, მათი სიყვარული მიყვარს... ახლა თოვლის სიმფონიის ფონზე დაქრია ჩვენ შორის ქარიშხლები. გავრბივართ... უკანმოუხედავად გავრბივართ... ხან შენ მკარგავ, ხანაც – მე... ქვიშა გვიწვავს თვალებს, ქარის წნელი გვიმოლტავს სხეულებს. შორიდან, ყრუდ მესმის შენი მუდარა, მაგრამ სიტყვებს ნათლად ვერ ვარჩევ. ტორნადოსთან ერთად ვბრუნავთ, ვტრიალებთ – ხან ზემოთ მივფრინავთ, ხანაც ქვემოთ ვეშვებით, თუმცა ერთად არასდროს... რატომღაც, როგორღაც (გარჩევა მიჭირს), სხლტები და მორბიხარ, ყვირილი მესმის... უხმო ხავილი, ფილტვებიდან ამოგლეჯილი. მკვეთრად მავლებ ხელს და ისევ მივრბივართ, ისევ იგივე... უდაბნო, ქვიშა, ქარიშხალი, მტვერი...

ახლა ვჩერდებით... ახლა ქარიშხალში ვდგავართ... ახლა ორივემ ვიცით, რომ ვერსად გავიქცევით, რადგან ეს ტორნადო თავადვე ვართ.

ახლა ვეღარ გავიქცევით. ახლა ქაოსური სიმშვიდეა ჩვენში.

ზ(თ)ევი

როცა პირსასვე ჭურჭელს უკანასკნელი წვეთი ტყლაშუნით ჩააფრინდება, შეუძლებელია, წყლის სტატიკურობა შეინარჩუნო – ფიალა სავსეა! ველარაფერს შეცვლი, ვეღარ გაუძლიანდები, მდინარის დინებას მიჰყვები, როგორც მუნჯი თევზი.

მარილიან სილურჯეში მიიკვლევს გზას, უძალიანდება ტალღებს, იბრძვის თავდაუზოგავად, იქნევს კუდსა და ფარფლებს. აი, უკვე დაუსხლტა ერთ უშველებელ „მეზობელს“, რომელსაც მისი შთანთქმა განუზრახავს! მორიგ ტალღასაც თავს არიდებს და უკვე აქაა! მიზანს მიაღწია – ახლა მკაფიოდ შეუძლია გაარჩიოს მზის დისკო და მკრთალი წყლისფერი სივრცე. ცოტაც, ძალიან ცოტაც და აღასრულებს განზრახულს! ვერცხლისფერი მოგრძო სხეული ცაში იჭრება, ჩამავალი მზის რკალს ხაზავს და ისევ სიმუქეში უჩინარდება...

ხანდახან ასეც ხდება... ხანდახან ჩვენც ვიქცევით თევზებივით – გაცხარებულნი, შემართულნი მივინევთ წინ, მივიჩქარით რაღაც გაურკვეველისკენ, მივრბივართ (თუნდაც, ქაოსური ცურვა დაარქვით, როგორც გენებოთ), სად მივგინევს პანანინა ბრონეულის გულეები არც კი ვიცით...

თავ (გინდათ, ფარფლ) ქუდ (კუდ, რატომაც არა!) მოგლეჯილი გავურბივართ ქაოსს, არეულობას, უზარმაზარ სამხეტეს.. და სად გავრბივართ? ზემოთ მივინევთ? რას გვინდა ამით მივალნიოთ? გვინდა ბრბოს ზემოდან მოვექცეთ და ბევრად სუფთა, კრიალა ჰაერი ვისუნთქოთ? მაგრამ, თევზები ხომ არასდროს მიინევენ ჰაერისკენ იმისთვის, რომ სუნთქვა გაიჯანსაღონ, ლაყურები ჟანგბადით „ჩაიკოლოზინონ“, – პირიქით, ისინი მას გაურბიან! ნამიერად, მაგრამ მაინც, ისინი საკუთარ რიტმს, ცხოვრების ნირს არღვევენ, აბრეშუმის ზენარავით ფხრენენ და „უსუნთქაობაში“ ტივტივდებიან – ეს არის მათი მიზანი! ისინი თიშავენ გრძნობებს, გონებას, ალქმას... და ისინი ტოვებენ არსს... სწორედ, ამას ვერ ვხვდებით ჩვენ და ვერ ვტკბებით იმ ნამით, როდესაც ფილტვებს დაცვლის, ამოსუნთქვის საშუალებას ვაძლევთ, არსებობას ვიცარიელებთ, საკუთარი ცხოვრებიდან მივდივართ, უკანმოუხედავად, როგორც თევზი. როგორც ვერცხლისფერი მოგრძო წყლის შვილობილი...

ლივლივებს ზღვა... უშველებელი ფორთოხალი ეშვება ტალღების სიღრმეში მისაძინებლად.




ქეთი გიგინეიშვილი მე-9 კლასი

ჩამავალი მზე აღნობდა ფიქრებს

ჩამავალი მზე აღნობდა ფიქრებს და მზის ნაღვენი ათბობდა ზეცას. დღეს ეს მზე თითქოს მოლოდინს მისდევს და ჩემს სურვილებს წვრილ-წვრილად კეცავს... უცებ ჩუმდება ცის პორიზონტი და დუმის მხოლოდ ქარიღა არხევს... მზემ დაიჭირა მალაღი ნოტი და ბანი მისცა დაბურულ, ღრმა ხევს...

იქ, სადღაც კიდევ ანთია შუქი... მზე აქ წავიდა, იქ კი ამოდის. აქ მოვარდება ღამის ქარბუქი და ისმის ნოტი შავი გარმონის... მზე კი ჩადის და თან მიაქვს ფერი, ფერი, რომლითაც შეღება ზეცა. მე დილაობით ღიმილით ვმღერი და მზის წასვლისას კი ელდა მეცა... ასე რომ... დადნა ჩემი ფიქრები და მზემ სულ ბოლო სხივი ჩაქცა. ნელ-ნელა უკვე მეც ძილს მივყვები, ღამემ მზის ტახტზე ასვლა გაბედა!...



თამთა ბაგლარიშვილი მე-9 კლასი

თანამედროვე ქალაქი

თეთრი მთრთოლვარე ღრუბლები, ქალაქში – ბეტონის გუნდები. შენობა შენობას მიება... თეთრი მთრთოლვარე ღრუბლები. აღარ ჩანს ჩიტების გუნდები, ქარმა დაჰბერა, მოყარა თეთრი მთრთოლვარე ღრუბლები. ქალაქში – ბეტონის გუნდები.



ნანა ბრიკალიშვილი მე-10 კლასი

იდეალური

(ტრიოლეტი ფიზიკა-მათემატიკოსებისთვის)

როგორც ოცდაცხრა გრადუსის სინუსი, ის იყო თითქმის იდეალური. წარმოსახვითი, როგორც მინუს 1*, როგორც ოცდაცხრა გრადუსის სინუსი** თუმცა ჰქონდა მას ბევრი მინუსი და თან არ იყო ის რეალური, როგორც ოცდაცხრა გრადუსის სინუსი, ის იყო თითქმის იდეალური.

* 1 – წარმოსახვითი რიცხვი; ** – ოცდაცხრა გრადუსის სინუსი დაახლოებით 1/2-ია.

სპორტი

როსა სპორტს სკოლის სხოვრებაში მნიშვნელოვანი აღბილი უჭირავს

ირაკლი თაყაიძე

„მეტრომენის“ დასახლებაში, ცენტრალურ მოედანთან, ყურადღებას იპყრობს ახალი შენობა თავისი ინტერიერით და ვრცელი, კეთილმოწყობილი, ლამაზად შემოღობილი ეზოთი. ღია მოედნებით ადვილად მიხვდებით, რომ ეს სასწავლო დაწესებულება და არც შეცდებით: ეს თბილისის 103-ე საჯარო სკოლაა. იგი ორი წელიწადია, რაც აშენდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური დახმარებით და ნამდვილად გამორჩეული არქიტექტურით, დიზაინით. ის არა ჰგავს ძველებურ სკოლებს, ერთი გრძელი დერეფნითა და მის გაყოლებაზე ჩამსკრივებული საკლასო ოთახებით, არამედ სულ სხვა ყაიდის შენობაა, სადაც აქცენტს თავისუფალ სივრცეებზე გაკეთებული და ჩაკეტილ სივრცეში მოხვედრის შეგრძნება არ გაქვს. შიგ შესვლისას, უპირველესად, თვალში მოგხვდება სისუფთავე და სიმწვანე – ცოცხალი მცენარეების სიმრავლე. შეიძლება გვეფიქრა, რომ მასპინძლებმა ჩვენი მისვლისთვის საგანგებოდ მოინდომეს, მაგრამ მწვანე მცენარეებს, პრაქტიკულად, ყველგან შეხვდებით. თანაც, შენობის ყველა სართული, ყველა კუნჭული ისე კრიალებდა, სისუფთავეზე მუდმივად თუ არ ზრუნავ, შეუძლებელია, ეს ყველაფერი ერთბაშად გააკეთო.

თუმცა სკოლა არა მარტო შიგნიდან, გარედანაც „უბრძველს თვალს მტერს“, დასუფთავებული, კეთილმოწყობილი, ლამაზად გაშენებული ვრცელი ეზოთი, სადაც ყოველ კუთხეში, ყოველ ფლიგელში შეხვდებით დასასვენებელ ადგილებს ხის ლამაზი სკამებითა და სკვერებით. მინი-სკვერები და მცენარეები აქაურების სავიზიტო ბარათია და არცაა გასაკვირი, ამ სკოლამ „ეტალონის“ მიერ გამოცხადებულ სკოლის ეზოების კონკურსში რომ გაიმარჯვა.

ერთი სიტყვით, აქ ყველა პირობა შექმნილი სწავლისთვის და მოსწავლეებისთვის – მაქსიმალურად კომფორტული გარემო. მე არ ვიცი, როგორია თანამედროვე ტიპის დასავლური სკო-



ლები, მაგრამ საქართველოში ეს სკოლა სამაგალითოდ შეიძლება გამოდგეს. მით უფრო, რომ სასწავლო პროცესიც ძალიან ნაყოფიერად მიმდინარეობს, რაც დირექტორის, **არჩილ ჩხაიძისა** და მის მიერ შემოკრებილი პედაგოგიური კოლექტივის დამსახურებაა. სკოლაში ამჟამად 900-მდე მოსწავლეა, თუმცა მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად შეამცირა იმ წლებმა, როცა საკუთარი ჭერის არქონის გამო სხვაგან იყვნენ შეფარებული. ახლა, როცა თავისი შენობა აქვთ, ბავშვების რაოდენობაც თანდათან იზრდება და ვარაუდობენ, რომ გაისად კონტინგენტი გვარიანად შეივსება. ამასთან, აქვთ სომხური სექტორიც.

103-ე სკოლის ცხოვრებაში სპორტი ერთ-ერთი აქტიური მიმართულებაა. როგორც დირექტორმა, არჩილ ჩხაიძემ განაცხადა, სკოლაში გაკვეთილების შემდგომი 18 აქტივობაა დაწესებული და აქედან უმეტესობა სპორტული პროფილისაა. ცხადია, ამას ხელს კარგი სპორტული ბაზაც უწყობს. სკოლას აქვს სტანდარტების შესაბამისი დარბაზი, რომელიც გამოიყენება ფრენბურთის, კალათბურთის, მინი-ფეხბურთისა თუ სხვა გუნდური სახეობებისთვის. იატაკიც მშვენიერ მდგომარეობაშია, განათებაც მაღალი ხარისხისაა, რის გამოც ღამეც კი შეიძლება ვარჯიში, ცალ-ცალკეა ბიჭებისა და გოგონების გასახდლები (თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრგან ეს პრობლემა დგას – ან საერთოდ არ აქვთ, ან საერთო გასახდელით სარგებლობენ) და ისეთ დონეზე კეთილმოწყობილი, ბევრ პროფესიულ კლუბს შეუზღდება. სპორტის გაკვეთილების რეფორმის პროექტის მოთხოვნათა შესაბამისად, სკოლაში ჩამოყალიბებულია სპორტული კლუბი „ნიკე“, რომელსაც თავისი ჰიმნიც აქვს – სხვათა შორის, მოსწავლეების მიერ დაწერილი. სკოლაში მუშაობს ფრენბურთის, კალათბურთის, ბადმინტონისა და კარატეს სრეები, რომლებსაც, პროექტის შესაბამისად, თითო თვე ეთმობათ, თუმცა არც სხვა სახეობებს ივინყებენ. აქაური მოსწავლეები სკოლის გარეთაც აქტიურად არიან ჩართულები სპორტში და სხვადასხვა სახეობებშიც ვარჯიშობენ. თან დიდი წარმატებებიც აქვთ – ძიუდოში, კიბორქსინგში, ჭადრაკში თუ სხვ. უფროს კლასებში რაგბისტებიც ჰყავთ, თუმცა ეს სახეობა ამ პროექტის ფარგლებში არ შედის. მათ შორის ისეთებიც არიან, ქვეყნის ნაკრებებშიც რომ შედიან, მაგრამ წარმატებები არც იმ ზემოწამით ვლილ სახეობებში აკლიათ, რომელთა ჯგუფებიც საკუთრივ სკოლაში მუშაობს – ისინი ხშირად გამხდარან სხვადასხვა რანგის შეჯიბრებების გამარჯვებულები თუ პრიზიორები. სკოლის „სპორტულ კუთხეში“ გამოფენილია მათ მიერ მოპოვებული თასები, სიგელები, მოწყობილია ფოტოსტენდი.

დახურული დარბაზის გარდა, სკოლას ღია კომპლექსური მოედანიც აქვს, სადაც ასევე შესაძლებელია სხვადასხვა სახეობებში ვარჯიში და ყველა პირობა შექმნილი საამისოდ.

ამ სკოლაში ფრენბურთი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, რადგან სპორტის მასწავლებელი **ეკა ყარაყარაშვი-**

ლი ყოფილი ფრენბურთელია და აქაური ფრენბურთის სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებშიც კი გამოდის. სკოლას საქართველოს ფრენბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობის მემორანდუმიც კი აქვს გაფორმებული. მასპინძლებმა რამდენჯერმე გაუსვენეს ხაზი, რომ მათი დევიზია „საქმე შედეგისთვის და არა საქმისთვის“, ანუ ვალის მოსახდელად არ შრომობენ, ცდილობენ, რეალური შედეგები აჩვენონ. თანაც, აქ ახლომდებარე სხვა სკოლების ბავშვებიც დადიან სავარჯიშოდ – კარი ყველასთვის ღიაა.

სკოლაში სპორტის მასწავლებლად **ლია ჭყონია**ც მუშაობს, იგი წლებულს კონკურსის საფუძველზე აიყვანეს. უფრო სწორად, მოიძიეს, რადგან სათანადო კვალიფიკაციის კადრები დედაქალაქშიც და მით უფრო – რეგიონებშიც ფრიალ დეფიციტურია. საბედნიეროდ, ჭყონიამ დირექციის იმედევი სრულად გაამართლა – მას ძალიან ემადლიერებიან დირექტორიც, პედაგოგებიც და უკვე ხელშეკრულებაც გაუფორმეს. თუმცა, ამხელა სკოლისთვის, სადაც 40 კლასია, სპორტის 2 მასწავლებელი, დაგვეთანხმებით, ძალიან ცოტაა. საბედნიეროდ, თავიანთი ერთუზიანობით და დირექციის მაქსიმალური მხარდაჭერით, ისინი აუდიან საქმეს და სპორტი ამ სკოლაში ერთ-ერთი დაფასებული საგანია. სპორტულ ცხოვრებაში დაწყებითი კლასების მასწავლებლებიც აქტიურად არიან ჩართულები, ასევე – მშობლებთან ნაწილი და მანდატურის სამსახური, რისი მომხმარებელი ჩვენც გავხდით იქ სტუმრობისას.

ჩვენი სტუმრობის მიზანი იყო ოლიმპიზმისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდასთან დაკავშირებული სასკოლო ღონისძიება, რადგან პროექტის მოთხოვნათა შესაბამისად, დეკემბერი, ასე ვთქვათ, ოლიმპიზმის თვე იყო. მოგვხვდნობათ, ეს საგანმანათლებლო-შემცენებელი პროექტია, რომელიც სპორტის გაკვეთილების რეფორმის შემადგენელი ნაწილია. პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა სკოლებში ტარდება შეხვედრები ოლიმპიურ ჩემპიონებთან, მოქმედ წარმატებულ სპორტსმენებთან, რაც მოზარდთა დიდ ინტერესს იწვევს, სანაცვლოდ კი ბავშვები ამუშავებენ ოლიმპიზმის თემატიკისა და წარმატებული ნაშრომები საკონკურსოდაც იგზავნება.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან ამ პროექტის კოორდინატორი **გია ბეგიაშვილი**, ძალისმიერი ფიტნესის და უძლიერესი მამაკაცთა ფედერაციის დამფუძნებელი **ვალერი გულბანი**, ოლიმპიური ჩემპიონი ფრენბურთში **ვაჟა კაჭარავა** და საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ირაკლი ჩაჩუა**.

ჩაჩუამ სკოლას საჩუქრად ფრენბურთის ბურთები გადასცა, მოზარდებმა კი სტუმრებს ოლიმპიზმის თემაზე შექმნილი საკმაოდ კარგი საღამო დაახვედრეს: სააქტო დაბაზში ოლიმპიური ცეცხლიც აინთო, გახსნის სიმბოლურ ცერემონიაზე ოლიმპიადის ყველა ის მასპინძელი ქალაქიც წარმოადგინეს, სადაც ჩვენებს მონაწილეობა მიუღიათ. ისაუბრეს ოლიმპიადების წარმოშობის ისტორიაზე, ანტიკურ თუ თანამედროვე თამაშებზე და რაც ყველაზე სასიამოვნოა, არც პარაოლიმპიური თამაშები დაივიწყებიათ. სხვათა შორის, ღონისძიებაზე დასასწრებად მინეველი იყო პარამპედილოსანი, მსოფლიოს ჩემპიონი **ირმა ხეცურიანი**, თუმცა ის იმ დღეს ბორჯომში იყო გეგმიურ გამოკვლევებზე და დასწრება ვერ შეძლო.

ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა კაჭარავამ გაიხსენა ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდი და სახალისო ეპიზოდები თავისი კარიერიდან. გასახსენებელი კი მისი ტიტულის მქონე კაცს მართლაც ძალიან ბევრი აქვს. სხვათა შორის, ფრენბურთი პირველად სწორედ ტოკიოში შეიტანეს ოლიმპიადის პროგრამაში და კაჭარავა პირველ ჩემპიონთა შორისაა, საქართველოდან კი ამ ტიტულის მფლობელი ერთადერთი ადამიანია. კაჭარავამ გაიხსენა, თუ რა პერიპეტეხები უძლოდა წინ თამაშების პროგრამაში ფრენბურთის შეტანას. თურმე ამას მაშინდელი ენ. სოცბანაკის ქვეყნები ითხოვდნენ, სადაც ფრენბურთი მაღალ დონეზე იყო განვითარებული. სამაგიეროდ, ეწინააღმდეგებოდნენ დანარჩენები, რომლებიც დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ ამ სახეობას. საბოლოოდ გადაწყვეტი გამომდგარა თამაშების მასპინძელი იაპონიის პოზიცია, რომელსაც თურმე მაღალი დონის ფრენბურთი ჰქონია, რაც სიურპრიზი აღმოჩნდა ევროპისთვის. სამაგიეროდ, უკვე პირველივე ოლიმპიადაზე, სპორტის ამ ლამაზ სახეობას იმდენად დიდი მონივნება დაუმსახურებია, რომ მას შემდეგ უწყობანოდ იქცა ოლიმპიური ოჯახის სრულყოფილებიან წევრად.





რაჭის ულამაზესი სოფლის – ჭრებალის საჯარო სკოლა, რომელიც დაარსებიდან მრავალი წლის ისტორიას ითვლის, არაერთხელ ასახელებს მისმა მოსწავლეებმა. ამჯერად, ხელოვნების უფროსი მასწავლებლის, ირმა მწყერაშვილის ინიციატივით, მოსწავლეებმა წარმატებით განახორციელეს სასკოლო პროექტი „ანიდან ჰომემდე“.

ემდე“ შთაგონების წყარო. იდეამ, მოსწავლეებში, თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიწვია. გადაწყვეტიტ, ანბანის თითოეული ასო საგნების, ცხოველების, ფრინველების, მცენარეების შერწყმით და გაერთიანებით გამოგვესახა. პროექტმა მოსწავლეებს ასოციაციური აზროვნების, ფანტაზიისა და თავიანთი უნარების სრულად გამოვლენის საშუალება მისცა. მე, როგორც მასწავლებელს, კიდევ ერთხელ დამიმტკიცეს თუ რამდენად საინტერესოები, უნარიანები, უზადო ფანტაზიორები და იდეებით სავსენი არიან, რაც მნიშვნელოვანია თანამედროვე გამოწვევებისათვის“.

ირმა მწყერაშვილი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭრებალის საჯარო სკოლის ხელოვნების უფროსი მასწავლებელი: „ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე გამოფენილი უნიკალური ქართული ანბანის ასოები გახდა სასკოლო პროექტის – „ანიდან ჰომემდე“ შთაგონების წყარო. იდეამ, მოსწავლეებში, თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიწვია. გადაწყვეტიტ, ანბანის თითოეული ასო საგნების, ცხოველების, ფრინველების, მცენარეების შერწყმით და გაერთიანებით გამოგვესახა. პროექტმა მოსწავლეებს ასოციაციური აზროვნების, ფანტაზიისა და თავიანთი უნარების სრულად გამოვლენის საშუალება მისცა. მე, როგორც მასწავლებელს, კიდევ ერთხელ დამიმტკიცეს თუ რამდენად საინტერესოები, უნარიანები, უზადო ფანტაზიორები და იდეებით სავსენი არიან, რაც მნიშვნელოვანია თანამედროვე გამოწვევებისათვის“.

ხელოვნებით დაინტერესებული მოსწავლეები არაერთხელ ყოფილან საინტერესო საკლასო თუ სასკოლო პროექტებში ჩართულნი და სხვადასხვა თემატიკაზე შექმნილი გამოფენების მონაწილეები, რაც პედაგოგის, უფროსი მასწავლებლის – ირმა მწყერაშვილის ძალისხმევით, მისი კრეატიული იდეებისა და დაუღალავი შრომის დამსახურებაა.

